ანა მაისურაძე

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების სამართლებრივი დაცვის მექანიზმი

თემის ხელმძღვანელი: **მაკა კარტოზია**

წარდგენილია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, ანა მაისურაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი :

მოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ანა მაისურაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების სამართლებრივი დაცვის მექანიზმი** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: **მაკა კარტოზია**

რეზიუმე

Pacta sunt servanda ყველა მართლწესრიგის ფუძემდებლურ პრინციპს და სამოქალაქო სამართლის სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს, ამასთან განსაზღვრავს სახელშეკრულებო სამართლის წონასწორობასა და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მთელ რიგ უფლება-მოვალეობებს. არამდგრადი პოლიტიკური ვითარების და მუდმივ ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფონზე სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეიძლება მხარეთა ნების დამოუკიდებლად შეიცვალოს და მათი კონსტროლის ფარგლებს გასცდეს ესა თუ ის გარემოება, ამდენად საჭიროა სამართლიანობის უზრუნველსაყოფად არსებობდეს გარკვეული მექანიზმი, რომელიც დარეგულირებს ასეთ შემთხვევებს.

სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს არ ძალუძთ გაითვალისწინონს ყველა ის მოვლენა და გარემოება, რაც გავლენას მოახდენს ხელშეკრულების შესრულებაზე. შეცვლილი გარემოებების აღმოცენება სამოქალაქო ბრუნვის თანმდევი რისკია, რომლის დაბალანსება მხარეთა და რიგ შემთხვევაში სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მექანიზმის ამოქმედებით ერთი შეხედვით თითქოს ზემოაღნიშნული პრინციპის რღვევას აქვს ადგილი, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ იგი არათუ ირღვევა, არამედ ადგილს უთმობს კონცეფციას Clausula rebus sic stantibus - რომლის მიზანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნება, მხარეთა ორმხრივი ინტერესის გათვალისწინება და სახელშეკრულებო თანასწორობის უზრუნველყოფაა.

ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებით მართალია მხარეები ვერ დააბრუნებენ საწყის მდგომარეობას, რამეთუ სახეზეა ვითარების შეცვლის შედეგად გამოწვეული შედეგები, თუმცა მისი ადაპტირებით შესაძლებელია ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება, რაც გრძელვადიანი ურთიერთობებისთვის უწყვეტობის მაჩვენებელი და მეტად სასარგებლის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. ასეთ დროს ხომ მხარეებისთვის მნიშვნელოვანი ბალანსის დაცვა, ნდობის გამყარება და ურთიერთობის გადარჩენაა, რისთვისაც მათ დრო და რესურსი გაიღეს. ყოველივე ეს კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ასპექტის დაცვითა და ერთმანეთისადმი გულისხმიერების გამოჩენითაა მიღწევადი.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული 398-ე ნორმა თავისი არსით და ფუნქციით ვალდებულების შესრულების სამართლებრივი დაცვის მექანიზმია, მიუხედავად მრავალი პრობლემური საკითხისა და საკანონმდებლო ხარვეზის არსებობისა. წინამდებარე ნაშრომის მიზანს ამის წარმოჩენა, განხილვა, პოზიტიური სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის

საფუძველზე ნორმის ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების გაცემა წარმოადგენს.

Abstract

Pacta sunt servanda is a fundamental principle and a guarantee of the stability of civil law. It also determines the balance of contract law and participants in civil turnover Rights and responsibilities. background of unstable political situation and constantly changing socio-economic environment, the contractual relationship may change independently of the will of the parties and beyond their control this or that circumstance, thus it is necessary to have a certain mechanism to ensure justice in such cases.

The parties to the contract are not able to take into account all the events and circumstances that will affect the performance of the contract. The emergence of altered circumstances is an inherent risk of civil turnover, the balancing of which is the prerogative of the parties and in some cases the court. With the enactment of the contract mechanism in the face of changing circumstances, at first glance it seems that the above principle is violated, but it should be noted that it is not violated, but gives place to the concept Clausula rebus sic stantibus - which aims to maintain a contractual relationship, mutual mutual interest and mutual respect.

Adapted to the changed circumstances of the contract, it is true that the parties can not return to the original state, because the consequences of changing the situation are in the face. However, by adapting it, it is possible to partially fulfill the obligation, which can be an indicator of continuity and long-term benefits for long-term relationships. At such times, it is important for the parties to maintain balance, build trust and maintain the relationship, for which they have taken the time and resources. All this is achieved by the principle of good faith, by observing the moral-psychological aspect of the parties and by showing kindness to one another.

It should be noted once again that despite many problematic issues and legislative shortcomings, the 398th norm enshrined in the Civil Code of Georgia is a mechanism for the legal protection of the fulfillment of an obligation in its essence and function. The purpose of this paper is to present and discuss this. Also, making recommendations based on the analysis of positive law and case law to eliminate the shortcomings of the norm.

შესავალი 1

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 4

თავი II. ვალდებულებათა სისტემის ზოგადი დახასიათება 5

2.1. ვალდებულების არსი 5

2.2. ვალდებულების წარმოშობის სახელშეკრულებო საფუძველი 6

2.3. ვალდებულების შესრულება 9

თავი III. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა 13

3.1. შეცვლილი გარემეოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების არსი 13

3.2. სსკ-ს 398-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები 15

3.3. სსკ-ს 398-ე მუხლის კრიტიკული ანალიზი 17

თავი IV. გრძელვადიანი ხელშეკრულების დადების ასპექტი სსკ-ს 398-ე მუხლთან მიმართებით 25

თავი V. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დროს მხარეთა უფლება-მოვალეობანი 28

5.1.კეთილსინდისიერების პრინციპი როგორც კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შემავსებელი ფუნქცია 28

5.2. შეტყობინების ვალდებულება 31

5.3. რისკების გადანაწილება 33

5.4. მხარეთა მიერ მოლაპარაკების მცდელობა 35

თავი VI. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ურთიერთმიმართება შესრულების შეუძლებლობასთან და ფორსმაჟორთან 37

6.1.ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა 37

6.2. ფორსმაჟორი, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისგან მხარეების განთავისუფლების/გადავადების საფუძველი 39

6.3. პანდემია, როგორც ფორსმაჟორული გარემოება 43

თავი VII. სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები და დამკვიდრებული პრაქტიკა ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შესახებ 47

თავი VIII. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება გერმანულ სამართალში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) 54

თავი IX. შედეგების განსჯა უნიფიცირებულ პრინციპებთან შედარების საფუძველზე 57

დასკვნა 63
გამოყენებული ლიტერატურა.....65

შესავალი

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები მრავალი საუკუნის განმავლობაში არ კარგავს თავის აქტუალობას როგორც სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი კლასიკური ხარვეზის გამოვლინება. რომის სამართალში რომ გადავინაცვლოთ, ჯერ კიდევ იმ დროისთვის არსებობდა აღნიშნული თემის მარეგულირებელი კონცეფციები, თუმცა საუკუნეს არ აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან აღნიშნული თემა განუჭვრეტადი გარემოების თანმდევია, რაც არსებობს დასაბამიდან.

სამოქალაქო კოდექსის თავისებურებანი გახლავთ ორიენტირი შესრულებაზე. ხელშეკრულებით მხარეები ნებაყოფლობით კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას. აქვე მოქმედებს სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლური პრინციპიც - კეთილსინდისიერება. აღნიშნულ პრინციპს ემყარება სრულიად სამართალი, ხოლო რაც შეეხება ვალდებულებას, რომელიც უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად რიგ შემთხვევებში ვერ მიიღწევა ხელშეკრულების შესრულების მზაობისდა მიუხედავად, ვინაიდან არსებობს მხარეთა ნებისგან დამოუკიდებელი მოვლენები, თუმცაღა მიზანი იმისა, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს რჩება უცვლელად და შესრულების მექანიზმს უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართლის კოდექსში განმტკიცებული ნორმა - 398-ე მუხლი. მართალია, აღნიშნული კონცეფცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება და სამართლის წარმომადენელთა ჯგუფში ბუნდოვანებასაც იწვევს, თუმცა სასურველია იარსებოს აღნიშნულმა ნორმამ და დადგინდეს მისი სწორედ გამოყენების სამართლებრივი ინსტიტუტი. შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებისადმი მისადაგებისას

გასათვალისწინებელია ორივე მხარის ინტერესი, თუმცა მათი სრულად დაკმაყოფილება ვერ ხდება, ამიტომ მხარეებს ხშირ შემთხვევაში უწევთ კომპრომისზე წასვლა. თითქოს ეს ნორმა ერთგვარი მედიატორის როლს ასრულებს და მხარეებს სთავაზობს სახელშეკრულებო წონასასწორობის დაცვას, რათა ვალდებულება რომელიც მათ ერთმანეთის მიმართ იკისრეს შესრულებულ იქნეს - pacta sunt servanda. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ვალდებულების შესრულება მძიმე მდგომარეობაში არ უნდა აყენებდეს არც ერთ მხარეს. თავდაპირველი მხარეთა ნება არ უნდა იქნეს უგულვებლყოფილი. შეცვლილი გარემოებების მისადაგების მიზანიც ხომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნება, მხარეთა დაცვა არასასურველი შედეგებისგან და სამოქალაქო სამართლის ურთიერთობების მოწესრიგებაა.

აღნიშნული თემის განხილვისას ყურადსაღებია ფორს-მაჟორისა და შესრულების გართულების კონცეფციათა ურთიერთამოკიდებულება და მათი საზღვრების მიჯნა. მნიშვნელოვანია დადგინდეს ის მომენტი როდის უნდა ამოქმედეს შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებისადმის მისადაგების მექანიზმი და გადარჩეს სახელშეკრულებო ურთიერთობა და როდის და რა შემთხვევაში უნდა დასრულდეს მხარეთა ერთმანეთის მიმართ ვალდებულების არსებობა კანონიერების განმსაზღვრელ კრიტერიუმთა დაცვით.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების წინაპირობები და ის ხარვეზები, რაც აღნიშნული გარემოებების დროს წარმოიშობა. ამ პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით, ქართული საკანონმდებლო ნორმები შედარებულია გერმანულ სამართალთან. ნაშრომში გაანალიზებულია სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებლობის შესახებ გარემოებების ცვლილების გამო ხელშეკრულებიდან გასვლისას. ყურადღება ეთმოება

ისეთ საკითხს როგორიცაა, პანდემიური მდგომარეობა და მისი ფორს-მაჟორად მიჩნევის სამართლებრივ საფუძვლები, რაც დღემდე დისკუსიის საგნად რჩება.

კვლევა ეფუძნება როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, ასევე ნორმატიულ, დოქტრინულ და შედარებით სამართლებრივ მეთოდებს. განხილულია გერმანულ სამართალში არსებული მიდგომები, რამაც უფრო მეტად წარმოაჩინა ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები ამ ინსტიტუტთან მიმართებით.

პირველი თავი ეთმობა ნაშრომში განხილული ლიტერატურის ზოგად მიმოხილვასა და მათი სავალდებულოობის აღნიშნავს. მეორე თავში განხილულია ვალდებულებათა სისტემა და წარმოჩენილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მნიშვნელობა. მესამე თავში წარმოდგენილია ხელშეკრულების ადაპტაციისთვის საჭირო წინაპირობები და მუხლის კრიტიკული ანალიზისას ჩამოყალიბებულია ის რეკომენდაციები, რაც სასურველია გათვალისწინებულ იქნეს. მეოთხე თავი ლოგიკური გაგრძელებაა მისი წინამორბედისა. აქ ხაზგასმულია გრძელვადიანი ხელშეკრულების ასპექტი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტთან მიმართებით. ნაშრომის მეხუთე თავი ეთმობა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დროს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სადაც დეტალურადაა აღწერილი კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშნელობა, ნაჩვენებია რაოდენ შედეგისმომტანი შეიძლება აღმოჩნდეს შეტყობინების, კონსტრუქციული მოლაპარაკების და რისკების გადანაწილების მიმართ მხარეთა მიერ მზაობა. მეექვსე თავი ეთმობა შესრულების შეუძლებლობის, ფორსმაჟორის და შეცვლილი გარემოებების ურთიერთმიმართების განხილვას და პრობლემური საკითხების წრმოჩენას. მეშვიდე თავში კი განხილულია სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები, მისი როლი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და

სასამართლოსადმი მიმართვის მიზანშეწონილობა. მერვე თავი ეთმობა შედარებით-სამართლებრივ ანალიზს. გერმანულ სამართალში არსებული ნორმების განმარტებასა და კონკრეტულ შემთხვევებში მათი უპირატესობის აღიარებას. მეცხრე თავი კი ცხადყოფს როგორი უნდა იყოს ნორმა თავისი ფუნქციითა და შინაარსობრივი დატვირთვით.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოყენებული თითოეული წიგნი, სტატია, საკანონმდებლო აქტი თუ სასამართლო გადაწყვეტილება მყარი ფუნდამენტია ამ თემის საინტერესოდ და ლოგიკურად წარმოჩენისთვის. ჩემი პოზიციის გამოსახატად იმ ცნობებისა და ფასდაუდებელი მოსაზრებების ამოკრებით შეიქმნა ციკლი, ინფორმაციის სინთეზი, რითაც ადრინდელი დაუკავშირდა უახლესს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში ნათია ჩიტაშვილის მიერ შემუშავებულმა ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანა.

ნაშრომში გამოყენებულია არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება 2010 წლიდან დღემდე, რამაც წარმოაჩინა ამ საკითხზე მსჯელობის ერთიანი მიდგომის არსებობა. ნორმაში არსებული ნაკლოვანებისდა გამო სასამართლო გადაწყვეტილებებში მოცემული მითითებები ერთგვარი კატალიზატორია საკითხის სამართლიანად გადაწვეტისა. ჩემ მიერ განხილული თითოეული საქმე ეხმაურება უნიფიცირებულ პრინციპებში განმტკიცებულ მოდელებს და საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს. უნიდრუას და ევროპული სახელშეკრულებო პრინციპების მიმოხილვამ ცხადყო, რომ სამართლის წარმომადგენლების მხრიდან ერთხმად აღიარებულია სწორი პოზიცია, თუმცა ნორმა ამდენი წლის განმავლობაში მაინც უცვლელი ვარიაციით რჩება.

გერმანული სამართლის ანალიზმა, რომელიც ჩვენი კანონმდებლობის სულისჩამდგმელია, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ 398-ე მუხლში არსებული პრობლემები შეიძლება იყოს ნორმის არასწორედ თარგმნის,

ინტერპრეტაციის შედეგი. ინტერნეტსივრცეში არსებული მასალებით კი გამყარდა პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით. ერთ-ერთი ქვეთავი ეხმიანება საკითხს, რომელიც არათუ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის განხილვის საგნად რჩება და კვლავ ისმის კითხვა წარმოადგენს თუ არა პანდემია ფორსმაჟორულ გარემოას? ამ საკითხზე მსჯელობისას საინტერესო აღმოჩნდა 2020 წლის ნაშრომი თემაზე - „The effects of Covid-19 on international contracts: A comparative overview".

თავი II. ვალდებულებათა სისტემის ზოგადი დახასიათება

2.1. ვალდებულების არსი

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების პროცესში ვაწყდებით უამრავ საკითხს, რომლის სრულყოფილად გაწერაც ძალზე რთულია, ხოლო მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში.[1] ყოველივე ეს კი ერთმანეთს უნდა აბალანსებდეს. ამდენად, საინტერესოა თითოეული შემთხვევის სამართლებრივ სივრცეში მოქცევა და მათზე რეაგირება. ყოველივე ეს რიგ შემთხვევაში ქმნის ერთგვარ სამართლებრივ ლაბირინთს. გამოსავალი იმ პრინციპების დაცვაა, რაც სამართალშია განმტკიცებული და ერთგვარი ფუნდამენტია სამართლიანობისა-გულისხმიერება, კეთილსინდისიერება, ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.

რამდენადაც ვალდებულებითი სამართლის მოწესრიგების სფეროს წარმოადგენს ისეთ ვალდებულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომელთა დარღვევისთვისაც მოვალეს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება

[1] ავტორთა კოლექტივი., თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტა ასოციაცია, 2006წ., გვ. 7

დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება[2], ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალდებულების შესრულების ინტერესი ორმხრივია. თითოეული მხარე, როგორც კრედიტორი ასევე მოვალე ორიენტირებული უნდა იყოს ხელი შეუწყონ ერთმანეთს ვალდებულების შესრულებაში. კრედიტორის ფუნქცია არა მხოლოდ მოთხოვნა და სადამსჯელო ღონისძიებაზე ორიენტირება, არამედ კეთილსინდისიერების გამოჩენა და ხელშეწყობა უნდა წარმოადგენდეს, რათა მეორე მხარემ შეძლოს ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, მხარეთა უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.[3] კანონის მიზანსაც ხომ საზოგადოებაში ინტერესთა დაბალანსება, მათ შორის კომპრომისის პოვნა წარმოადგენს. უნდა ითქვას რომ ინტერესი არის ობიექტური ფენომენი, ხოლო მისი რეალიზაციის პროცესი კი ობიექტისა და სუბიექტის ერთიანობა, ამდენად ინტერესი ობიექტურია, ხოლო ადამიანის წარმოდგენები კი სუბიექტური.[4] მართალია ხელშეკრულებით მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლება-მოვალეობები ისევ და ისევ ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულებაა, თუმცაღა „ნების ავტონომია“ არ ათავისუფლებს მონაწილეებს ვალდებულებისგან, გაითვალისწინონ ერთურთის დასაცავი ინტერესები.[5] ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ვლინდება როდესაც გარემოებები იცვლება იმ სახით, რომლის გათვალისწინების შედეგადაც მხარეები განსხვავებულად წარმართავდნენ თავიანთ ქმედებებს.

2.2. ვალდებულების წარმოშობის სახელშეკრულებო საფუძველი

---

[2] ავტორთა კოლექტივი., თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტტა ასოციაცია, 2006წ., გვ. 14

[3] ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, II გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, 1999წ., გვ. 6

[4] Пьянкова А. Ф, Обеспечение баланса интересов в гражданско-правовых договорах, Монография, Пермь 2014, С.14

[5] ავტორთა კოლექტივი., თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტტა ასოციაცია, 2006წ., გვ. 15-16

თანამედროვე კონტინენტური ევროპის სამოქალაქო კოდიფიკაციები, რომელთა საძირკველს რომის სამოქალაქო სამართალი წარმოადგენს, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად აღიარებენ, როგორც სახელშეკრულებო ასევე არასახელშეკრულებო საფუძვლებს. კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტები, საკუთარი ნებიდან თუ ქმედებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობებით არიან დაკავშირებულნი.[6]

ვალდებულების წარმოშობის ამ ორი საფუძვლის განსხვავების შედეგი არის ის, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებებისას მხარეები თვითონ ირჩევენ, თუ როგორი შინაარსის უნდა იყოს მათი უფლებები და ვალდებულებები. ეს ნიშნავს, რომ უთანხმოების შემთხვევაში მოსამართლემ უნდა განმარტოს მხართა განზრახვა და გადაწყვიტოს, რაზე შეთანხმებას იზრახავდნენ მხრაეები. მოსამართლის საქმე არ არის ის, თუ რა მიაჩნია პირადად მას სამართლიანად და გონივრულად. არასახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში კი, მეორე მხრივ, ვალდებულებების შინაარსი გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსიდან. უთანხმოების შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს განზრახვა კანონმდებლისა.[7]

რამეთუ წინამდებარე ნაშრომი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შეთხვევებს ეხება, რაც პირდაპირ კავშირშია ხელშეკრულებით მოწესრიგებულ ურთიერთობებთან, ამდენად ინტერესის სფეროც სახელშეკრულებო ურთიერთობებია.

სსკ-ს 317-ე მუხლი განსაზღვრავს ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს, სადაც ერთ-ერთ წყაროდ ვალდებულების წარმოშობისა განხილულია ხელშეკრულება, რომელიც მხარეთა მიერ მიღწეული კონსესუსის და

---

[6] ჯუღელი თ., არასახელშეკრულებო ვალდებულებები, სამართალი და მსოფლიო, №6, 2017წ., გვ.177

[7] ჯუღელი თ., არასახელშეკრულებო ვალდებულებები, სამართალი და მსოფლიო, №6, 2017წ., გვ.179

სამართლებრივი თვალსაზრისით, უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობის შედეგია მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისთვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს.[8] ხელშეკრულება ერთგვარი იურიდიული ფაქტია ვალდებულებისა წარმოშობისა.[9] მიუხედავად მხარეთა ორმხივი ნების არსებობისა და ურღვევობის წადილისა ვალდებულების შესრულების პროცესში მხარეები შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთ გარემოებათა წინაშე, რამაც შესაძლოა შეცვალოს მხარეთა მიერ წინასწარ გათვლილი უცვლელი გარემოებები და მათი პასუხისმგებლობის ფარგლები.[10] როგორც „relation theory of contracts" - ს მხარდამჭერები ამბობენ ხელშეკრულება წარმოადგენს დაუსრულებელ შეთანხმებას, რამეთუ მხრაეებს არ შეუძლიათ გაითვალისწინონ ყველა ის პირობა, რომელიც მომავალში მოერგება ყველა სახეცვლილ მდგომარეობას.[11] სწორედ ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე იწევს მატერიალური სახელშეკრულებო სამართლიანობის არსი, რომელიც გულისხმობს სახელშეკრულებო წონასწორობას, როდესაც მხარეები ეკვივალენტური უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ და ერთ-ერთი კონტრაჰენტი უსაფუძვლო, შეუსაბამო სარგებლს არ იღებს. დაუშვებელია ისეთი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა, რომელიც ერთი მხარისთვის თავისუფლებაა, მეორესთვის კი თავისუფლების შეზღუდვა.[12] სწორედ ასეთი

---

[8] უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1144-1090-2014

[9] ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, II გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი", 1999წ., გვ. 10

[10] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, III წიგნი, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი", 2001 წ., გვ. 399

[11] Donald J. Smythe, Bounded Rationality, The Doctrine of Impracticability, And The Governance of Relational Contracts, Southern California Interdisciplinary Law Journal, 2004, P.230

[12] ჯაშიაშვილი ნ., ნომინალიზმის პრინციპი და სახელშეკრულებო სამართლიანობა, კერძო სამართლის მიმოხილვა №2, 2019 წ, გვ.256-257

შემთხვევების აღმოფხვრას და სახელშეკრულებო წონასწორობის დაცვას ეხმიანება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გაწერილი დებულებანი - ე.წ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრული პირობების დაცვით უნდა ამოქმედდეს ორმხირვი ინტერესის ქვეშ არსებული ვალდებულებების დაცვით მიზნით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ხელშეკრულების არსებობის ფაქტორი. თუ არ იარსებებს იგი ვერც მისი დაცვა მოხდება აღნიშნული მექანიზმით. ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო შემდეგი: ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ დადგინდა მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობა, შესაბამისად მტკიცება, რომ მხარეთა შორის არსებული მიმოწერა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას ემსახურებოდა, ვერ იქნება გაზიარებული.[13]

ხელშეკრულების თავისუფლება ყოველ ჯერზე სახელშეკრულებო სამართლიანობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს როგორც მისი დადების, ასევე შესრულებისა და გადასინჯვის ეტაპზე.

2.3. ვალდებულების შესრულება

ვალდებულებათა სამართალის მთავარი იდეა არის ის, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს. ეს პრინციპი ჩადებულია სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილში, რომლის მიხედვით: ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ეს პრიციპი ეხება როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებებს.[14]

---

[13] სააპელაციოსასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/4495-19

[14] ავტორთა კოლექტივი., თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტტა ასოციაცია, 2006წ., გვ. 92

ამრიგად, ვალდბეულების შესრულების სტანდარტად განისაზღვრა ა) ჯეროვანი შესრულება ბ) კეთილსინდისიერება გ) დათქმული ადგილისა და დ) დროის კრიტერიუმის დაცვა.

ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ნიშნავს ვალდებულების შესრულებას კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იმ გონიერი მოლოდინის ფარგლებში, რაც შესრულების მიმღებს ამ ვალდებულების შესრულების მიმართ ჰქონდა.[15] თუმცაღა არსებობს ისეთი შემთხვევები როდესაც ვალდებულების ჯეროვნად შესრულების წადილისა ირღვევა აღნიშნული ცნებით გათვალისწინებული მოლოდინები. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის ან სამართლით დაცული სიკეთის ხელყოფისათვის შეიძლება დადგეს მხოლოდ განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. მიუხედავად მთელი რიგი გამონაკლისებისა, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი დომინანტ მდგომარეობას ინარჩუნებს როგორც სახელშეკრულებო, ასევე დელიქტურ სამართალში. [16] აღნიშნულ პრინციპს იზიარებს სსკ-ს 398-ე მუხლიც, ვინაიდან ასეთ დროს მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად ირღვევა ვალდებულებათა შესრულების ჯაჭვი და რომ არა არასასურველი მოვლენა იგი შესრულდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კეთილსინდისიერება ცალკე, დამოუკიდებელ ვალდებულებად არ განიხილება. იგი სამოქალაქოსამართლებრივი

---

[15] ავტორთა კოლექტივი., ვაშაკიძე გ., გელაშვილი ი., ბაღიშვილი ე., რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა., მესხიშვილი ქ., მოწონელიძე ნ., ბათლიძე გ., ჯორბენაძე ს., გაწერელია ა., სვანაძე გ., რობაქიძე ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წ., გვ. 358

[16]იხ. http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/10/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98.pdf

ურთიერთობის მონაწილის ქცევის სტანდარტს ადგენს. კეთილსინდისიერება სუბიექტური კატეგორიაა და საკუთარი უფლებებითა და მოვალეობათა შესრულებით ისეთ სარგებლობას გულისხმობს, რა დროსაც დაცული უნდა იყოს სხვათა უფლებები.[17] ამასთან, კეთილსინდისიერების ქცევა უპირატესად სუბიექტის შინაგანი იძულების გამოვლინებაა. ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება კი არა, არამედ მათ მიერ ერთმანეთისადმი სოლიდარობის გამოვლინება და ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია, რაც გულისხმობს მოქმედებათა განხორციელებას გულისხმიერებითა და პასუხიმგებლობით.[18]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობების დამატებთი ფუნქცია, რომელიც ისევდაისევ მხარეთა შეთანხების საგანია 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია.[19]

როდესაც საუბარია ზოგადად ვალდებულების შეესრულების მზაობაზე, რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესია ზემოთ განხილული პრინციპების არსი ვალდებულებათა შესრულებასთან მიმართებით, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია და ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი, მკაცრად დასაცავი კომპონენტი - ვალდებულების შესრულების დრო. ასეთ დროდ განიხილება განსაზღვრული მომენტის დადგომა როცა ვალდებულება შესრულებულ უნდა იქნეს. ის ჩვეულებრივ განისაზღვრება ხელშეკრულებით, ცალმხრივი

[17] ავტორთა კოლექტივი., ვაშაკიძე გ., გელაშვილი ი., ბაღიშვილი ე., რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა., მესხიშვილი ქ., მოწონელიძე ნ., ბათლიძე გ., ჯორბენაძე ს., გაწერელია ა., სვანაძე გ., რობაქიძე ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წ., გვ. 360

[18] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, III წიგნი, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ., გვ. 270

[19] უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1338-1376-2014

გარიგებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით და ზოგჯერ შეიძლება კანონითაც იქნეს დადგენილი.[20]

ამდენად, არ აქვს მნიშვნელობა ეპოქას, ადგილმდებარეობას, ვითარებას, ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რამეთუ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამათლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისთვის კი საჭიროა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად).[21]

[20] ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, II გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, 1999წ., გვ. 47

[21] უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1338-1376-2014

თავი III. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა

3.1. შეცვლილი გარემეოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების არსი

სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეცვლილი გარემოებების აღმოცენება თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის თანმდევი რისკია, რომლის პირობებშიც ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპის შეუზღუდავი გამოყენება სახელშეკრულებო წონასწორობისა და სამართლიანობის ხელყოფას განაპირობებს და წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი გაცვლისა და კეთილსინდისერების მოთხოვნებთან.[22]

შეცვლილ გარემოებათა სამართლებრივი მნიშვნელობა აღიარებულია სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში ამა თუ იმ მოდიფიკაციებით, როგორიცაა „ხელშეკრულებათა გაყინვა“, „გარიგების საფუძველთა მოშლა“, საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში გამოიყენება ტერმინი „ გართულება“ (hardship).[23] ქართული კანონმდებლობა კი ამ ინსტიტუსს იცნობს სსკ-ს 398-ე მუხლის სახით, რომელიც გარიგების საფუძვლების რღვევით გამოწვეული შედეგების თავიდან აცილების მიზნით, განსაზღვრავს კონტრაჰენტთა ხელახალ შეთანხმებას ხელშეკრულების შეცვლილი ვითარებისადმი მისადაგებული პირობებით.[24]

ხელშეკრულების ადაპტაცია შეცვლილი გარემოებებისადმი არ არის თავისი ბუნებით მარტივი კონსტრუქცია. ნორმის ბუნდოვანება და ნაპრალები,

---

[22] ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი „სამართლის ჟურნალი“, №1, 2014, გვ. 205-206

[23] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, III წიგნი, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ., გვ. 400

[24] უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №ას-7-6-2010.

რომლებიც დღესდღეობით მას გააჩნია, კიდევ უფრო მეტ დაკვირვებას და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით გაანალიზების საჭიროებს. კანონმდებლის ჩანაფიქრი ამ ნორმის გაწერის დროს, ჩემი აზრით, იყო ვალდებულების დაცვის სამართლებრივი მექანიზმის ამოქმედება და სამართლებრივი საფარველის რღვევის შეჩერება, იმ იურიდიული ინტერესის შენარჩუნება და დაცვა რაც მხარეებმა ერთმანეთის მიმართ იკისრეს.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას თუ რა მიზანს ემსახურება და რა შემთხვევებისთვისაა გათვალისწინებული სსკ 398-ე მუხლი. განმარტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოთ დასახელებულ ნორმაში კანონმდებელი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა გაძნელებულია ხელშეკრულების შესრულება და თუ ის მაინც შესრულდება, მძიმე ეკონომიკურ შედეგებს გამოიწვევს ხელშეკრულების ერთი ან ორივე მხარისათვის იმ მიზეზით, რომ არსებითად შეიცვალა ის გარემოებები, რომლებიდანაც მხარეები გამოდიოდნენ ხელშეკრულების დადებისას. შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორი გამართლებული საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე - მისი შემცირებით.[25] ხელშეკრულების ადაპტაცია სამართლიბრივი საფარველი და დამცავი რგოლია ვალდებულების შესასარულებალად, თუმცაღა არსებობს ისეთი გარემოებები როდესაც მისი გამოუყენებლობა მიზანშეწონილია. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც ხელშეკრულების გაგრძელება უფრო მეტ ზიანს აყენებს მხარეს, ვიდრე მისი შენარჩუნება. ამდენად, თუ ხელშეკრულების დაცვა საზოგადოების საზიანოდაა მიმართული (perniciem rei publicae),

[25] 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე ას2/15594-18

გარიგება უნდა დაექვემდებაროს გაუქმებას უკუქცევითი ძალით (negotium hoc retro nullum fieri).[26]

3.2. სსკ-ს 398-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები

ზემოაღნიშნული ინსტიტუტის სამართლებრივი ანალიზის მიზნით უმჯობესია ნორმის თვისობრივი განმარტება და მის საფუძველზე დასკვნების გაკეთება.

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მიხედვით:

1. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.
2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.
3. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ

[26] Дождов Д.В., Изменение и расторжение договора вследствие существенного изменения обстоятельств: Европейская правовая традиция и современные тенденции, Института государства и права РАН. 2018, Том 13, № 2, С. 151

ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.[27]

სსკ-ს 398-ე მუხლის მიმოხილვის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ სამი ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს ნორმის რაობას: 1. მხარეთა ორმხრივი ნების არსებობა 2. არასწორედ გააზრებული ორმხრივი ნება 3. სასამართლოს მიერ ბალანსის შენარჩუნება. მნიშვნელოვანი რგოლი ამ თემაზე მსჯელობისას საკითხის მარტივ მამარავლებლად დაშლის აპექტში გახლავთ მიზეზშედეგობრივი კავშირი. მხარეთა ორმხრივი ნების დაცვითა და ინტერესთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს მათი თანმხვედრი ნების გადაკვეთა და მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა, ამდენად აღნიშნული ნორმა ხელშეკრულების თავდაპირველ მიზანთან და საფუძველთან შესაბამისობაში მოყვანის სამართლებრივი საფუძველია.[28]

ვინაიდან არასრულყოფილად გაწერილი ნორმის გამო შეცვლილი გარემოებანი უმეტესწილად სასამართლო პრაქტიკაში დადგენილი გარემოებანია[29], ამიტომაც უზენსაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში დამატებით განზოგადებულ იქნა ის აუცილებელი წინაპირობები, რაც ვალდებულებითი ურთიერთბის სამართლებრივი დაცვის მექანიზმის აამოქმედებს:

- ✓ შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების უკიდურესი დამძიმება;
- ✓ გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ;

[27]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 398-ე მუხლი, 786, საკანონმდებლო მაცნე [17.06.2021]

[28] ტაბატაძე დ., ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“ II გამოცემა, 2013, გვ. 32

[29] ტაბატაძე დ., ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“ II გამოცემა, 2013, გვ. 32

- ✓ გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში;
- ✓ ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება;
- ✓ ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.[30]

ჩამოთვლილი წინაპირობები ერთგვარი ინდიკატორია ხელშეკრულების მისადაგების მექანიზმის ამუშავებისა, თუმცა ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურია და ამ პირობების გარდა საკითხი კიდევ უფრო სიღრმისეულ შესწავლას და დაკვირვებას მოითხოვს, რაც წინამდებარე ნაშრომში მაგალითებისა და სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ნათლად იქნება წარმოჩენილი.

3.3. სსკ-ს 398-ე მუხლის კრიტიკული ანალიზი

სსკ-ს 398-ე მუხლის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმა შუძლია მას ვისი ინტერესიც შეილახა. შეცვლილი გარემოებების პირობებში კანონისმიერი მოთხოვნაა, რომ მხარეებმა სცადონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი და თუკი მისადაგება შეუძლებელი აღმოჩნდება, მხარეებს უფლება აქვთ გავიდნენ ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზე მსჯელობისას, რა საფუძვლითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, შესამოწმებელია გასვლის გამომრიცხველი წინაპირობების არსებობა

[30] უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-7-6-2010

(რომელთა ჩამონათვალი მოცემულია თავად მატერიალურ კანომდებლობაში, მაგალითად, სკ-ის 358-ე, 442-ე-447-ემუხლები, ასევე, 316.2 მუხლი და სხვა).[31] მართალია, კანონისმიერი მოთხონების შესაბამისად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მრავალი ფაქტორი, თუმცა სასურველია მნიშვნელოვანი დეტალები გაწერილი ყოფილიყო თავად ნორმაში. მაგალითად, აღნიშნული მუხლი დათქმას არ აკაეთებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე როგორიცა შეტყობინების ვალდებულება, პერიოდი ამ მოქმედების განხორციელებისა და ასევე არც მოლაპარაკების სავალდებულოობის თაობაზეა მოცემული მკაცრი დანაწესები. ყველა პრობლემის გადაჭრის მცდელობა კონსტრუქციული მოლაპარაკებისა და სურვილის შედეგია. სამწუხაროდ, აღნიშნული მუხლი დათქმას არ აკეთებს არც სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობაზე, თუმცაღა უნდა ვივარაუდოთ, რომ სასამართლოსათვის მიმართვა დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით გამომდინარეობს სამართლის ზოგადი პრინციპებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც სამართალი და ვერც სამარლიანობა ვერ იქნებოდა სწორად აღქმული და გატარებული.



[31] უზენაესი სასამ... ს-220-209-2017

სქემა 1[32]

სსკ-ს 398-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება ადგენს პირველი წინადადების ალტერნატივას კერძოდ კი, პირველ წინადადებაში აღწერილია მისადაგების სამართლებრივი და ობიექტური წინაპირობები, მეორე ნაწილი კი მისი განუხორციელებლობის წინააღმდეგ შემთხვევად გვთავაზობს ხელშეკრულების პირობების მკაცრად არდაცვის შესაძლებლობას - წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.[33] რაც, რა თქმა უნდა, ყოვლად ბუნდოვანი და სუბიექტური დანაწესია, რომელიც აშკარდა საფრთხეს უქმნის ამ ურთიერთობისა და ინსტიტუტის ჯანსაღ მიმდინარეობას, რადგან ნებისმიერ ჯერზე მოვალეს ექნება სამართლებრივი ბერკეტი და წინაღობა არ დაეთანხმოს კრედიტორის მოთხოვნის მისადაგებაზე და აამუშაოს მუხლის მეორე ნაწილი - მეორე ალტერნატივა, რომლის მიხედვითაც შეძლებს არაკეთილსინდისიერად, მაგრამ სამართლებრივად აიძულოს კრედიტორი დაჰყვეს მის არაკეთილსინდისიერ ნებას. აღნიშნული მიდგომით კნინდება ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება.[34] ასეთ შემხვევებში მიზანშეწონილია ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც ხელშეკრულებაზე

[32] იხ., საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, №2/1/536, 4 თებერვალი, 2014წ., ხელმისაწვდომია: https://jelec.iliauni.edu.ge/thanazomierebis-printsipi-2/

[33] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 398-ე მუხლი, 786, საკანონმდებლო მაცნე [17.06.2021]

[34] გეგენავა ა., ნარდობის ხელშეკრულების მისადაგბა შეცვლილი გარემოებებისადმი , 2015, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, გვ. 33

უპირობოდ უარის თქმის უფლებას გამორიცხავს და მას მხოლოდ უკიდურეს უფლებად გაითვალისწინებს წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას საფუძველი გამოეცლება და ვალდებულებითი სამართლის ძირითადი პრინციპი ეჭვქვეშ დადგება.[35] საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მიდგომა აღნიშნული პრობლემისადმი. „შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა“ სასამართლომ დაუკავშირა არა ხელშეკრულების შესრულების, არამედ ხელშეკრულებიდან გასვლით წარმოშობილ ვალდებულებებს. როგორც აღვნიშნე შესრულების გართულება ვალდებულების შესრულების გაუთვალისწინებელ დამძიმებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში თავს იჩენს საყურადღებო პრობლემა: თუ ხელშეკრულების მისადაგება შეუძლებელია ან მეორე მხარე არ თანხმდება აღნიშნულს, უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებიდან გასვლა. ასეთ შემთხვევაში რამდენად გამართლებულია შეცვლილი გარემოებების პირობებში ორმხრივი რესტიტუციით წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება? მოცემული ხარვეზიანი საკანონმდებლო რეგულირების პირობებში უზენაესმა სასამართლომ სამართლიანი შედეგის მისაღწევად განმარტა, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებაზე კრედიტორის უარი არ ათავისუფლებს მოვალეს მიღებული შესრულების დაბრუნებისგან. ამდენად, ხელშეკრულებიდან გასვლით წარმოშობილ ვალდებულებებზე გაავრცელა 398–ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა, რომ ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.[36] თუმცაღა აღნიშნული ერთგვარ დაბნეულობას იწვევს. ვინაიდან როდესაც კანონმდებელი ანიჭებს მხარეს უფლებას - ერთგვარ საკანონმდებლო იარაღს თავის არიდების მიზნით, ისმის კითხვა ნუთუ ეს არ

[35] ლეგაშვილი დ., შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, ”სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, გვ. 80

[36] ტაბატაძე დ., ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“ II გამოცემა, 2013, გვ. 39

არის ხარვეზი და ნორმაში სხვაგვარი ფორმულირებით არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული?

ერთ-ერთ მოცემულობად განსაზღვრულია რომ გარემოებების შეცვლა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადების შემდგომ, თუმცაღა სსკ-ს 398-ე მუხლის მე-2 ნაწილის განხილვისას მხარეთა წარმოდგენების მცდარობაც შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მისადაგების საფუძველი. თითქოსდა შეცდომით დადგებული გარიგებების მიმართაც შეგვიძლია აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება, თუმცა ეს ხომ ეწინააღმდეგება თავად ამავე მუხლის პრინციპს, ვინაიდან შეცდომას შეიძლება ადგილი ჰქონდეს გარიგების დადებამდე, რაც წარმოდგენებს უკავშირდება. სსკ-ს 72 მუხლის თანახმად, როდესაც ნების გამომვლენ პირს ეჭვი ეპარება თავის წარმოდგენის სისწორეში, შეცდომა არ იქნება სახეზე.[37] ამდენად, პირს ხელშეკრულების დადებამდე უნდა სჯეროდეს იმ წარმოდგენების რითაც ხელმძღვანელობდა. სსკ-ს 398-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა შეცვლას ან არასწორ წარმოდგენას ადგილი არ ექნება იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულმა მხარემ გამოიჩინა დაუდევრობა ან გაუფრთხილებლობა და ხელშეკრულების დადების დროს მას წინასწარ შეეძლო დაბრკოლების წარმოშობა ევარაუდა.[38] მოვლენათა პროგნოზირება მხარის სუბიექტურ ანალიზს არ უნდა ექვემდებარებოდეს.[39] მაგალითად, სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა როდესაც დამსაქმებლის მიერ შეთავაზებულ იქნა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი პროექტის ბიუჯეტთან, ვინაიდან ის ანაზღურება რაზედაც შეთანხმდნენ არ შეესაბამებოდა შემდგომში დონორებთან შეთანხმებულ ბიუჯეტს. ამაზე დაქირავებულმა პირმა უარი განაცხადა. ვინაიდან შრომის კოდექსი არ შეიცავს ჩანაწერს შრომითი

[37] იხილე: http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/11/Artikel-72.pdf

[38] უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1096-1053-2016

[39] Momberg, R.A, Change of Circumstances in International Instruments of Contract Law. The Approach of the CISG, PICC, PECL and DCFR, Vindobona Journal of international commercial law and arbitration, 15(2), 2011, P.251

ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილების თაობაზე, იმ შემთხვევაში როდესაც შრომის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებამდე არსებული გარემოებები/წარმოდგენები იცვლება, რომლებიც ამ პირობებზე შეთანხმების საფუძველი გახდა და რომლის გათვალისწინების შემთხვევაში, მხარეები არ დადებდნენ შრომით ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ამიტომაც დამქირავებელმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და შეუმცირა ხელფასი, თუმცაღა იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ წინაპირობას - მოპასუხის ობიექტურ წარმოდგენებს, რომელიც შეიძლებოდა გამხდარიყო მოსარჩელესთან ხელშეკრულების დადებისა და შემდგომში, ამ წარმოდგენების გაქარწყლების შედეგად, მისი შეცვლის (შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების) მოთხოვნის საფუძველს, ადგილი არ ჰქონია. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მოსარჩელისათვის შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის - შრომის ანაზღაურების ოდენობის - ცალმხრივი შეცვლის შესახებ, ცნობილი უნდა იქნეს ბათილად, როგორც კანონსაწინააღმდეგო გარიგება, ვინაიდან იმ გარემოებათა ცვლილების შედეგად, რომელიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების მხარეს წარმოეშობა შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის, ხოლო ასეთზე მეორე მხარის თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში - ხელშეკრულებიდან გასვლის და არა ხელშეკრულების ცალმხრივი შეცვლის უფლება.[40]

ამასთან, შეცვლილი გარემოებანი დასახელებული მუხლით გათვალისწინებული უფლების წყაროა მანამ სანამ ვალდებულება შესრულდება. შესრულების შემდგომ მხარის პრეტენზიებს საფუძველი ეცლება რაოდენ დამამძიმებელიც არ უნდა იყოს შემდგომში მისთვის

[40] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2 /16450-18

შესრულება, ხოლო როდესაც ვალდებულება ნაწილობრივაა შესრულებული, ჯერ კიდევ შეუსრულებელი ნაწილის მიმართ 398-ე მუხლის დანაწესები გამოიყენება.[41] მაგალითად მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება.[42]

უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მომწესრიგებელი ნორმა მთლიანად სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას ემსახურება და არა ერთი რომელიმე კონკრეტული პრინციპის შესრულებას. შეცვლილი გარემოებების აღმოცენება სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეთა ურთიერთმხრივ შესრულებათა არსებით დისბალანსს იწვევს, „ხელშეკრულება კი ორივე მხარისთვის შესრულებადი უნდა იყოს, როგორც მისი დადების მომენტში, ისე შემდგომ“.[43]

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ინსტიტუტი მიზნად ისახავს სახელშეკრულებო თანასწორობის დაცვას როგორც კითილსინდისიერების, ასევე გულისხმიერების პრინციპზე დაყრდნობით. ისიც ნათელია, რომ მხოლოდ ამ პრინციპების გატარებითა და გათვალისწინებით ვერ მიიღება სასურველი შედეგი, ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული ნორმა როგორც ვალდებულების შესრულების მექანიზმი კიდევ უფრო გამყარდეს და შეივსოს, რათა ყოველი ვალდებლება შესრულდეს ორმხივი ინტერესის გათვალისწინებით. ხოლო დათქმა ხელშეკრულების

---

[41] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, III წიგნი, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ., გვ. 403

[42] უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-888-834-2012

[43] ლეგაშვილი დ., შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, ”სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, გვ. 79-80

შეწყვეტის თაობზე ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში იქნეს გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში მეტად გონივრულიც კი შეიძლება აღმოჩნდეს მოლაპარაკება, ორივე მხარისათვის ოპტიმალური პირობების შეთავაზება და ხელშეკრულების მოდიფიცირება შეცვლილი გარემოებებისადმი.

თავი IV. გრძელვადიანი ხელშეკრულების დადების ასპექტი სსკ-ს 398-ე მუხლთან მიმართებით

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება არ გამოიყენება კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში და არც ცალმხრივ გარიგებებში, რადგანაც სსკ-ის 398-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, მხარეებს შორის დადებული უნდა იყოს ხელშეკრულება. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები და ცალმხრივი გარიგებები მისი მოწესრიგების სფეროდან გამოირიცხება. სსკ-ის 398-ე მუხლი ძირითადად გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოიყენება. ცხადია, შეცვლილი გარემოებების მოკლევადიან ურთიერთობებშიც წარმოიშობა. დროთა განმავლობაში ყველა ვალდებულებითი ურთიერთობები საჭიროებს მოდიფიცირებას. განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება გრძელვადიანი ვალდებულებით ურთიერთბებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოშობს ახალ ვალდებულებებს აქედან გამომდინარე, არამდგრად ეკონომიკურ გარემოში, ფინანსური კრიზისის ფონზე დაინტერესება ჩნდება ისეთი მექანიზმების საჭიროების მიმართ, რომელიც ხელშეკრულების მოდიფიკაციის უფლებას იძლევა.[44]

აღნიშნულ თემაზე მსჯელობისას - თუ რა ითვლება გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობად საინტერესოა უზენაესი სასამართლოს განმარტება საქმეზე, კერძოდ, №ას-779-746-2014, სადაც გაევლო ზღვარი ხელშეკრულების მოშლასა და ხელშეკრულებიდან გასვლას შორის და განიმარტა: „კერძო სამართალი იცნობს გრძელვადიან და მოკლევადიან ხელშეკრულებებს. არ არის აუცილებელი ორმხრივი ხელშეკრულება

[44] ლეგაშვილი, შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, ”სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, გვ. 79

გრძელვადიანი იყოს. სახელშეკრულებო ურთიერთობის გრძელვადიანობა დროში მოქმედებაზე არ მიუთითებს, არამედ მრავალჯერადი შესრულების ვალდებულებაზე. გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების განმავლობაში მხარეებს განგრძობითად წარმოეშობათ გარკვეული ვალდებულებები ისე, რომ შესასრულებელი ვალდებულების შინაარსობრივი ფარგლები წინასწარ არ არის განსაზღვრული, ამასთანავე მრავალჯერადი შესრულება არ გულისხობს ნაწილ-ნაწილ შესრულებას. გრძელვადიანი ხელშეკრულების მაგალითია ქირავნობა, იჯარა, დაზღვევა, ასევე შრომის ხელშეკრულება."[45] ეს განმარტება მნიშვნელოვანია შეცვლილი გარემოებების არსებობის პროცესში.

როდესაც სსკ-ს 398-ე მუხლის მე-3 ნაწილი გვთავაზობს უარის თქმის ალტერნატივას ისეთ გრძელვადიან ურთიერთობებზე სადაც მეორე მხარე არ ეთანხმება იმ მოცემულობაში ყოფნას სასამართლო აკონკრეტებს რიგ შემთხვევებს როდესაც გრძელვადიანი ურთიერთობები უფრო მეტ პასუხისმგებლობას მატებს ორივე მხარეს - მაგ: გრძელვადიანი ქირავნობის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე როცა დაქირავებული ფართი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას ემსახურება. ასეთ შემთხვევაში, ნიშანდობლივია, რომ სამეწარმეო საქმიანობის არამომგებიანობა და ბიზნესის წარუმატებლობა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მართლზომიერი საფუძველი, ვინაიდან სამეწარმეო მიზნებისათვის ფართის დაქირავება იმთავითვე შეიცავს დამქირავებლის მხრიდან რისკის ელემენტებს, შესაბამისად, თუ არა სახელშეკრულებო დათქმა მასზედ, რომ ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება დამოკიდებული იქნება ეკონომიკური საქმიანობის წარმატებაზე,

[45]ხუციშვილი ო., სისვაძე მ., ტოხოსაშვილი მ., ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი, 2017, №1-2, გვ.25

ბიზნესის წარუმატებლობა გრძელვადიანი ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტის მართლზომიერ საფუძვლად ვერ იქცევა.[46]

ვალდებულების შესრულება სამოქალაქო კანონმდებლობის უმთავრესი ამოცანაა, მაგრამ, ისევე, როგორც კანონით დაცული ყველა დანარჩენი სიკეთე, არც ეს პრინციპია აბსოლუტური ხასიათის, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მხარე არ შეიძლება იყოს ყოველგვარი რისკის მატარებელი, რადგან ხელშეკრულება არ წარმოადგენს მხოლოდ მხარეთა ინტერესების ურთიერთგადაკვეთის „წერტილს" იგი გარკვეულწილად განხილულ უნდა იქნეს, როგორც ,,საერთო პროექტი", რომელშიც თითოეული მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს. ხელშეკრულების დადების შემდეგ იმ პირობათა შეცვლა, რომლებიც თავის დროზე მისი დადების საფუძველს წარმოადგენდნენ, ბუნებრივად იწვევს მხარეთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ფარგლების გადახედვას.[47] ამასთან, ისინიც უნდა აღინიშნოს, რომ ადაპტაცია ხელშეკრულებისა ახალ პირობებთან მეტად სასურველი გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთერთობებშია, ვინაიდან ხელშეკრულების შეწყვეტა და ასეთი გზით თავის დაცვა არ გახლავთ მხარეთა მიზანი. მათი ინტერესის სფერო ურთიერთვალდებულების დაბალანსება და ორმხრივი ვალდებულების ექვივალენტურობის აღდგენაა.[48]

---

[46] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2867-13

[47] ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, სარჩევი 2011 წ., გვ.13

[48] Дождов Д.В., Изменение и расторжение договора вследствие существенного изменения обстоятельств: Европейская правовая традиция и современные тенденции, Института государства и права РАН. 2018, Том 13, № 2, С. 162

თავი V. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დროს მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.კეთილსინდისიერების პრინციპი როგორც კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შემავსებელი ფუნქცია

ხელშეკრულება სოციალური სიკეთისა და მატერიალური დოვლათის გადანაწილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ხელშეკრულებას მხარეები მხოლოდ მაშინ დებენ, როდესაც თითოელი მხარის სარგებელი გათვალისწინებულია. იგი უზრუნველყოფს მატერიალური სიკეთის არა უბრალოდ გადანაწილებას, არამედ ამ გადანაწილების სამართლიანობასაც.[49] ამავდროულად ხელშეკრულება იმ მიზნების და ინტერესების ერთობლიობაა, რაც მხარეებმა ერთმანეთის მიმართ იტვირთეს, ამდენად მის ერთ-ერთ საფუძველად თანასწორობის დაცვა ვლინდება, რაც ამავდოულად წარმოშობს ერთმანეთის მიმართ როგორც უფლებებს, ასევე მოვალეობებს. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ს 398-ე მუხლი ზედმიწევით არ განმარტავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ამ საკითხზე მსჯელობისას კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა და შეტყობინების პასუხისმგებლობის გათვალისწინება კონტრაჰენტების მიერ უმნიშვნელოვანესი დებულებაა.

[49] ავტორთა კოლექტივი., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ., გვ.50-51

ანალოგიურ დათქმას ითვალისწინებს, როგორც ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ასევე „უნიდრუას პრინციპები“, ამასთანავე აღნიშნულს განამტკიცებს ვენის კონვენციის 79-ე მუხლი.

კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულ იქნა „სამეფო ნორმად“. იგი მოქმედებს როგორც „სუპერნორმა“, რომელიც სხვა სამართლის ნორმების მოდიფიცირებასაც ახდენს.[50] კეთილსინდისიერება როგორც სამართლებრივი კონცეფცია წარმოადგენს სასამართლოს მიერ კონკრეტული სამართლებრივი პოზიციის დასაბუთებისა და შემავსებელ ინსტრუმენტს. მისი დახმარებით ხდება განმარტება, დაზუსტება და შეზღუდვა კანონის ფორმალური ელემენტებისა. ერთგავარად სამართალშემოქმედებათა კატალიზატორის ფუნქციას ითავსებს.[51] როგორც უკვე აღვნიშნე იგი მაკორექტირებელი ფუნქციითაც ხასიათდება, რომელიც მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს დისბლანსი მხარეთა უფლება-მოვალეობებისა და დაიცვას მოვალის ინტერესი. ამ შემთხვევაში ეს ხდება კრედიტორის უფლებების შეზღუდვით. თითქოსდა ამით იბოჭება პრინციპი pacta sunt servanda, მაგრამ ამის საპირწონედ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ამგვარის შეზღუდვის მიზეზი არა უფლებამოსილი მხარის ინეტერესი, არამედ ვალდებული პირის დაცვის მექანიზმია.[52]

ზემოაღნიშნული ყველაზე კარგად ვლინდება შეცვლილი გარემოებების აღმოცენების დროს. ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს. როგორც სსკ-ს 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე სსკ-ს მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან

---

[50] იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2007წ., გვ.12

[51] Карапетов А.Г., Договорное право (Общая часть), М-Логос 2020, С.1248

[52] Суханов Е.А., Принцип добросовестности. Система и бессистемность, Вестник гражданского права № 1, Том 19, 2019, С.40

კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართალურთიერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მხარეებს შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია.[53] ასეთი დამოკიდებულება კი დამახასიათებელია გრძელვადიანი სახლეშეკრულებო ურთიერთობების დროს, ვინაიდან მხარეებმა არაერთგზის ირწმუნეს ერთმანეთის ინტერესი და განაგრძეს სახელშეკრულებო ურთიერთობა და როდესაც ირღვევა გაუთვალიწინებელი ვითარებისდა გამო მათი ნების საწინააღმდეგოდ უნდა იხელძღვანელონ კეთილსინდისიერების პრინციპის თესიზებით, რათა შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება განხორციელდეს გონივრული და სამართლიანი მისადაგების ფარგლებში რაც არ შეიძლება გულისხმობდეს სახელშეკრულებო წონასწორობის აბსოლუტურ აღდგენას იმ სახით, როგორც არსებობდა ხელშეკრულების დადების ეტაპზე. კეთილსინდისიერების ფარგლებში მოლაპარაკების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს შესრულების სიმძიმეს მოვალისთვის, ხოლო კრედიტორისთვის კვლავ სახელშეკრულებო სარგებლით უზრუნველყოფას. სახელშეკრულებო მოლაპარაკებები არ შეიძლება ისახავდეს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მეორე მხარეზე სრულად გადაკისრების მიზანს. ამდენად, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი არის ზღვარი სახელშეკრულებო თავისუფლებას და სახელშეკრულებო სამართლიანობას შორის. სახელშეკრულებო თავისუფლება აუცილებლობაა, თუმცა მისი რეალიზაცის მასშტაბი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია და ზოგჯერ სახელშეკრულებო წონასწორობის პრობლემას უკავშირდება. სახელშეკრულებო წონასწორობა

[53] უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე № ას-15-15-2016

კი არის თანასწორობის პრაქტიკული გამოვლინება. იგი მხარეებს შორის უფლება-მოვალეობების სამართლიან გადანაწილებაზე მიუთითებს.[54]

მართალია, მორალურად ყოველი ადამიანი უნდა მოქმედებდეს აღნიშნული პრინციპის დაცვით, პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით, თუმცაღა კარგი იქნებოდა სსკ-ს 398-ე მუხლში მკაფიოდ ყოფილიყო გამოხატული და გაწერილი ყოველი ქმედება, მანამ კი როგორც სხვა, ასევე ამ მუხლით მოსაწესრიგებელ შემთხვევებშიც კეთილსინდისიერების საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი და ხაზგასმა, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

5.2. შეტყობინების ვალდებულება

ზემოაღნიშნული პრინციპის გარდა მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ შეტყობინების ვალდებულებაც. არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც შეტყობინების განხორციელება და დამატებითი ვადის დაწესება აზრს მოკლებულია. მაგალითად, სსკ-ს 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ისეთ გარემოებას როდესაც ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლის უფლება წარმოიშობა, თუმცა აღნიშნულ დათქმას ვერ გავავრცელებთ შეცვლილი გარემოებების კატეგორიაზე. პირველ რიგში იმიტომ რომ ვადის

[54] საქმე ას №2/15594-18, 7 მარტი, 2019

დაწესება არა ფორმალურობა, არამედ გარკვეული ქმედების საფუძველიც კი შეიძლება გახდეს, ამდენად, შეცვლილი გარემოებების დროს მხარე, რომელიც არ ასრულებს ვალდებულებას, უნდა დარწმუნდეს, რომ შეტყობინება დაბრკოლების, მისი ხარისხის და მის მიერ გამოწვეული მოსალოდნელი შედეგების შესახებ, მეორე მხარის მიერ მიღებულ იქნა გონივრულ ვადაში. თუ მხარე არ მიიღებს შეტყობინებას გონივრულ ვადაში მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ასეთი შეტყობინების მიუღებლობის შედეგად განცდილი ნებისმიერი ზიანისათვის. [55]

როგორც აღინიშნა შეტყობინების ვალდებულება თანამშრომლობის ვალდებულებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინებაა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. თუ შეტყობინება ხორციელდება ხელშეკრულების შესატყვისი შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მაშინ მიზანშეწონილია შეტყობინების შინაარსი მოიცავდეს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შეთავაზებასაც. მითითებული ნორმა არ ითვალისწინებს პერიოდს, თუ რა დროის განმავლობაში უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მხარემ შეცვლილი გარემოების შესაბამისი პირობების ხელშეკრულებაში ასახვა, მაგრამ ნორმის არსიდან იკვეთება, რომ ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, შეცვლილი გარემოების დადგომისთანავე. ამასთან, შეცვლილი გარემოების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება, მოთხოვნა გარემოების წარმოშობის მომენტიდან მოგვიანებითაც წარმოიშვას. აღნიშნულს განაპირობებს ის რეალობა, რომ ზოგ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლა ხდება თანდათან.[56]

მაგალითად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ ითვალისწინებს

---

[55] უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-7-6-2010

[56] იხ. იქვე

შემდეგ დათქმას: თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ გარემოებები აშკარად შეიცვალა მაშინ მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს საცალო მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს მომხმარებელს შეცვლილი გარემოებების შესახებ და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხელშეკრულებაში მოცემული პირობის შესაბამისად (რომელიც არ უნდა იყოს საყოფაცხოვებო მომხმარებლისათვის 2 თვეზე, ხოლო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის 1 თვეზე ნაკლები). ასეთ შემთხვევაში: ა) მომხმარებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე და განსაზღვრულ ვადაში აცნობოს მიმწოდებელს პირობების მიუღებლობის ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; ბ) მომხმარებელს უფლება აქვს განსაზღვრულ ვადაში აცნობოს მიმწოდებელს თანხმობა გ) მომხმარებლის მიერ მიმწოდებლისგან განსაზღვრულ ვადაში შეტყობინებისგან ან სხვა ხელშეკრულების გაფორმებისგან თავის შეკავების შემთხვევაში ივარაუდება შეთავაზებულ პირობაზე თანხმობა.[57]

5.3. რისკების გადანაწილება

ცხოვრება აღსავსეა სხვადსხვა ტიპის რისკებით, რომელთა პროგნოზირება არის ერთობ რთული საქმე. მსოფლიოში უამრავი კომპანია კოტრდება იმის გამო რომ ისინი მოუმზადებლები აღმოჩნდნენ სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი თუ პოლიტიკური კატაკლიზმების, საფინანსო თუ საწარმოო სიძნელეების გათვალისწინების, მათი პროგნოზირების სფეროში.[58]

---

[57] საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგლირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის № 12 დადგენილება ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ

[58] რისკების მართვა და სადაზღვევო ბიზნესი, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები იხ. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/tavi18.pdf

ყოველივე ამის გათვალისწინებით მხარეებს აქვთ შესაძლებლობა ხელშეკრულებით გარკვეულწილად დაარეგულირონ ეს რისკები. მაგალითად, თუ ღვინის საწარმოს ყოველწლიურად მინის კომპანიისაგან მიეწოდება ათი ათასი მინის ბოთლი და თითოეული ბოთლის ღირებულება შეადგენს ერთ ლარს და ამასთან, მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება, რომლის შესაბამისადაც დაუშვებელია პროდუქციის ღირებულების გაზრდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ქვეყანაში წლიური ინფლაცია არ იქნება შვიდ პროცენტზე მაღალი, მინის საწარმო ვალდებული იქნება მიაწოდოს ღვინის კომპანიას შეთანხმებული რაოდენობის ბოთლი, ხოლო თავის მხრივ, ღვინის კომპანია ვალდებული იქნება ფულადი ვალდებულება შეასრულოს გადახდის დროს არსებული კურსით. ასეთ დროს, მხარეებს იმ დრომდე არ ექნება უფლება ფულის კურსის ცვლილების მოტივით მოითხოვოს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება, ვიდრე წლიური ინფლაცია ან/და კურსის ცვლილება არ გაცდება შეთანხმებულ ნიშნულს. მაგალითად, თუ გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულების დადებისას მეიჯარე და მოიჯარე შეთანხმდებიან, რომ ყოველთვიური საიჯარო თანხა იქნება 2000 ლარი და იჯარის თანხის ცვლილება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ თუ ქვეყანაში ინფლაცია იქნება 10%-ზე მეტი. აღნიშნული დათქმა მხარეთათვის მბოჭავი ხასიათისაა და მათ ართმევს უფლებას მოითხოვოს საიჯარო ქირის ოდენობის ცვლილება ვიდრე ინფლაცია არ გასცდება 10%-იან ნიშნულს.[59]

თუ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან მიმართებით, 398-ე მუხლს შევსებითი ფუნქცია ენიჭება (სზაკ, 71), სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები ერთგავარ გამონაკლის წარმოადგენს. მათთან მიმართებით 398-ე მუხლი პირდაპირ მოქმედებს (სახელმწიფო შესყიდვების

[59] ხვედელიძე მ., კერვალიშვილი ნ., ნორმალიზმის პრინციპი და ფულადი ერთეულის კურსის ცვლილებების რისკის სახელშეკრულებო რეგულირება, მართმსაჯულება და კანონი N4 (68) გვ.90

შესახებ კანონის 21 V მუხლი).[60] ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანებში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დასაშვებია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების ოდენობის გაზრდა არაუმეტეს 10%-ისა,[61] თუმცაღა როგორც სხვა შემთხვევებში, ასევე ამ კონკრეტულ ბრძანებაში აღნიშნული დათქმები საჭიროებენ უფრო მეტად დეტალიზებას. ერთმნიშვნოვლად უნდა განიმარტოს თუ რას გულისხმობს ხელშეკრულების პირობების გაუარესება, მათ შორის, აუცილებელია ისეთი დათქმების გაკეთება, რითიც მიმწოდებელი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, როცა შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გაუთვალისწინებელი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორიცაა, მაგალითად, ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურება და სხვა, რამაც არაერთ მიმწოდებელს შეუქმნა პრობლემა. ასევე, აუცილებელია შესყიდვების კანონმდებლობით შესყიდვების მიზნებისთვის დაზუსტდეს, რას გულისხმობს არასწორი წარმოდგენები, რაც ხელშეკრულების საფუძველი გახდა.[62]

5.4. მხარეთა მიერ მოლაპარაკების მცდელობა

რისკის გადანაწილების თითოეული მოდელი, რომლებსაც სტანდარტული ხელშეკრულებები სთავაზობს დაინტერესებულ მხარეებს, წარმოადგენს

---

[60] ავტორთა კოლექტივი., ვაშაკიძე გ., გელაშვილი ი., ბაღიშვილი ე., რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა., მესხიშვილი ქ., მოწონელიძე ნ., ბათლიძე გ., ჯორბენაძე ს., გაწერელია ა., სვანაძე გ., რობაქიძე ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წ., გვ. 358

[61] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

[62] სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში: როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი, იხ. https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/saxelmcipo_shesqidvebi_2013-2014_clebshi.pdf

მოქნილ მექანიზმს სახელშეკრულებო ურთიერთობების დასამყარებლად.[63] ურთიერთშეთანხმება კი ყველაზე მოქნილი და ეფექტური საშუალებაა ურთიერთობის გადასარჩენად. მხარეებმა სახელშეკრულებო მოლაპარაკება უნდა აწარმოონ შეთანხმების მიღწევის რეალური განზრახვით, კონსტრუქციულად და არ გამოიყენონ იგი როგორც ტაქტიკური მანევრი. ხშირად, მოლაპარაკების კეთილსინდისიერი მონაწილე უნდა იყენებდეს მედიატორის უნარ-ჩვევებს.

კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს, რომ მოლაპარაკებებში ჩართვის მოთხოვნა იყოს საფუძვლიანი და ყველა იმ ინმფორმაციის მომცველი, რომელიც აუცილებელია კონტრაჰენტის მიერ ვითარების ადეკვატური შეფასებისთვის. ამასთან აუცილებელია, რომ სახელშეკრულებო მოლაპარაკებისთვის გონივრული ვადა იყოს განსაზღვრული.[64] მართალია მოლაპარაკების პროცეში ვერ აღდგება ის სამართლებრივი ბალანსი რომელიც არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტში, თუმცა კომპრომისზე წასვლა და სარგებელი, რასაც მოლაპარაკების პროცესი ითვალისწინებს სავსებით შესაძლებელია.

მოლაპარაკების პროცესში უმთავრეს მიზანს წარმოადგენს შედეგი, რომლის მიღწევისთვისაც მოქმედებენ მხარეები. შედეგის მიხედვით უნდა მოხდეს სწორი სტრატეგიის შერჩევა, რომლითაც განისაზღვრება ოთხი უმთავრესი წინაპირობა, რომელთაგან ორი: ა) რა საკითხებთან მიმართებით შეიძლება დათმობაზე წასვლა; დ) სამართლებრივი წინაპირობების სწორად ჩამოყალიბება[65] წარმოადგენს შედეგისმომტან წინაპირობას მოცემული საკითხის განხილვისას. სავსებით შესაძლებელია მეორემ მხარემ შეცვალოს

---

[63] აბესაძე დ., შეცვლილი გარემოებები და მათი ზეგავლენა სამშენებლო ხელშეკრულებათა შინაარსზე, თეოდორე ნინიძე 65, საიუბილეო კრებული, 2016, გვ.163

[64] ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი „სამართლის ჟურნალი“, №1, 2014, გვ. 222

[65] ჯორბენაძე ს., 1+8+1=10 - ანუ თავისუფლების ფრთები წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებიის პროცესში, სერგო ჯორბენაძე 90, საიუბილეო გამოცემა, 2019წ., გვ.25

თავისი დამოკიდებულება კონკრეტული საკითხისადმი სწორად შერჩეული ტაქტიკის წყალობით. სწორედ ეს გახლავთ მორიგების უპირატესობა - გადაწყვიტო საკითხი ისე როგორც ამას ისურვებდა შენი ნება და დაეთანხმებოდა მორალი. მიზანი ამისა ისევ შესრულებისადმი მხარდაჭერაა, მხარეებისთვის იმისი შეხსენებაა, რომ შეცვლილ გარემოებებს ისინი კი არ უნდა გაეცქნენ, არამედ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ხელშეკრულება შეაგუონ მათ. ამით სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაც შენარჩუნდება და ხელშეკრულებაც შესრულდება. მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას, განიხილება სახელშეკრულებო ბოჭვის კომპონენტად, რომლის მიზანი პრინციპის - ხლშეკრულება უნდა შესრულდეს - გატარებაა.[66]

თავი VI. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ურთიერთმიმართება შესრულების შეუძლებლობასთან და ფორსმაჟორთან

6.1.ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ერთიან ცნებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვერ ვხვდებით. იგი მიმოფანტულია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა ნორმებში, კერძოდ გარიგების, ბრალეულობის და დაუძლეველი ძალის შესახებ ნორმებში. მართალია, არსებობს სსკის 401-ე მუხლი, რომელიც სწორედ შესრულების შეუძლებლობით არის დასათაურებელი, მაგრამ ის სრულად ვერ ასახავს აღნიშნულ საკითხს. გერმანული სამართლისგან განსხვავებით, ქართულ სამართალში შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების დარღვევის კარშია მოქცეული.

[66]ჩიტაშვილი ნ., შეცვლილ გარემოებათა პირობებში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლებისა და თანმდევი სამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი N2, 2014 წ., გვ.161

რაც შეეხება შესრულების შეუძლებლობის სახეებს, იგი მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის კომენტარებშია სისტემურად გადმოცემული.[67]

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს შესრულების შეუძლებლობისა და შესრულების გართულების ცნებები. შესრულების შეუძლებლობისას შესრულება ობიექტური მიზეზით გამოირიცხება, შესრულების გართულებისას კი, ვალდებულების შესრულება პრაქტიკულად შესაძლებელია, თუმცა იმდენად დიდ დანახარჯებს მოითხოვს მოვალის მხრიდან, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შესრულების შეუძლებლობის შედეგების შესრულების გართულების შემთხვევებზე გავრცელება.[68] შესრულების გართულების შემთხვევები შეიძლება მოწესრიგდეს როგორც ხელშეკრულების განმარტების, ისე სსკ-ს 398-ე მუხლის ფართოდ განმარტების ან სულაც ანალოგიის გამოყენების გზით.[69]

შეცვლილ გარემოებებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ კანონმდებლობაში იგი განიხილება შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტთან ერთად. თუმცა ქართულ დოქტრინაში ეს მიდგომა არ არის გაზიარებული, ვინაიდან მიჩნეულია, რომ შეუძლებელია შესრულების შეუძლებლობის გაიგივება შეცვლილ გარემოებებთან. შესრულების შეუძლებლობის დროს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა გამორიცხულია, მაშინ როცა, შეცვლილი გარემოებების არსებობის დროს ასეთი შესაძლებლობა მაინც არსებობს.[70]

---

[67] ზოიძე თ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხდვით, კერძო სამართლის მიმოხილვა N2, 2019წ., გვ. 146

[68] მაისურაძე ა., ვალდებულების შესრუელების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, მართმსაჯულება და კანონი N2 (37), გვ.42

[69] მაისურაძე ა., ვალდებულების შესრუელების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, მართმსაჯულება და კანონი N2 (37), გვ.58

[70]ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, 2011 წ., გვ.13

6.2. ფორსმაჟორი, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისგან მხარეების განთავისუფლების/გადავადების საფუძველი

შესრულების გართულების და ფორსმაჟორის მომწესრიგებელი დათქმის, როგორც სახელშეკრულებო მექანიზმების მიზანი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მდგრადობის შენარჩუნებაა.[71]

ქართული კანონმდებლობა იცნობს ვალდებულების შესრულების გართულებას შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებისადმი მისადაგების კონტექსტში, ხოლო სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულების შეუსრულებლობას ე.წ „Force Majeure". თავად ცნება სსკ-ს მიხედვით არ არის განმარტებული, თუმცაღა სიტყვათა წყობას - ფორსმაჟორულ გარემოებას ვხვდებით სსკ-ს 597 მუხლში, სადაც ნათქვამია რომ თუ საიჯარო მიწაზე სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად მოიჯარეს მოსავლის ნახევარზე მეტი გაუნადგურდა, მას უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ქირის შესაბამისი პროპორციით შემცირება.[72] თითქოსდა ეს ჩანაწერი იმის მაჩვენებელია, რომ გარკვეული სახით შესაძლებელია ფორსმაჟორულ პირობებში ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება გარკვეული პირობების დაცვით. ამავე აზრს ამყარებს ზემოაღნიშნული მუხლის მეორე აბზაციც, სადაც ხაზგასმულია იმ მიზეზობრივ კავშირზე რაც საიჯარო ქირის შემცირების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს. ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ მიუხედავად ამ ჩანაწერის არსებობისა, რაც ფორსმაჟორს ცალკე ინსტიტუად გამოყოფს ეს ცნება გაიგივებულია დაუძლეველ ძალასთან რაზეც აპელირებს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში. ნათქვამია, რომ ფორსმაჟორი, ანუ დაუძლეველი ძალა შეუძლებელს ხდის ვალდებულების ჯეროვნად

[71]ჩიტაშვილი ნ., პასუხისმგებლობის განსაზღვრა ფორსმაჟორული დათქმით სახელშეკრულებო თავისუფლებისა და სამართლიანობის ფარგლებში, სამართლის ჟურნალი N1, 2015წ., გვ.90

[72] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 597, 786, საკანონმდებლო მაცნე [17.06.2021]

შესრულებას, ამდენად, ფორსმაჟორული სიტუაცია ნიშნავს მხარეთა დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობა გამორიცხავს მოვალის ბრალს.[73] მისი თავიდან აცილება შეუძლებელია. ეს არის დაუძლეველი ძალა, მოვლენა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გადატანის (გაგრძელების) შესაძლებლობას იძლევა, ან საერთოდ ათავისუფლებს მხარეებს გარიგებით ნაკისრი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებისგან. მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ფორსმაჟორის პირობები. თუ ხელშეკრულებაში მის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაშინ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსოფლიო საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პრაქტიკიდან გამომდინარე პირობები (სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ომები და ა.შ.).[74] საინტერესოა რა მტკიცებულებები შეიძლება იქნეს გამოყენებული ამ ფაქტის დასადასტურებლად ან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მიიჩნევა თუ არა ფორსმაჟორული გარემოების დამდგენ ექსკლუზიურ ორგანოდ თუ დაუძლეველი ძალა არ შეიძლება წარმოადგენდეს მარტოოდენ სავაჭრო-სამრეწველო პალატის შეფასების საგანს და იგი შესაძლებელია შეფასებულ იქნეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ ან სხვა დამოუკიდებელი დაწესებულების მიერ? ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული საკითხი შესაძლებელია მხარეთა სახელშეკრულებო დათქმით დარეგულირდეს და მხარეებმა თავად განსაზღვრონ ფორსმაჟორული გარემოების შეფასებაზე უფლებამოსილი სუბიექტი, ასევე ნათქვამია, რომ სავაჭრო-სამრეწველო პალატა აწარმოებს ფორს-მაჟორის არსებობას, ანუ იმ გარემოებას, რომელიც შესაძლებელია ჩაითვალოს

[73] უზენაესი სასამართლო 2009 წლის 23 ივლისის განჩინება, საქმე ას №ას-30-367-09

[74] სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე ას №2ბ/7137-14

დაუძლეველ ძალად, ხოლო პირთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა კი მის კომპეტენციაში არ შედის.[75]

პანდემიის შედეგად, ფორს-მაჟორის ლეგალური დეფინიციის შემოტანის შემთხვევებს ადგილი აქვს ცალკეულ კანონქვემდებარე აქტებში, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების დროს. კერძოდ, ცვლილება შევიდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებაში, „ელექტროენეერგის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში და განისაზღვრა, რომ ამ წესების მიზნებისთვის, ფორს-მაჟორს წარმოადგენს ისეთი დაუძლეველი ძალა, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემია, სახელმწიფო გადატრიალება, საგანგებო მდგომარეობა და სხვა, რომლებიც არ არის დამოკიდებული საწარმოზე და არ ექვემდებარება მის კონტროლს, გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, შეუძლებელი იქნებოდა მისი თავიდან აცილება და რომელთა გამოც საწარმო ვერ ასრულებს წესებით გათვალისწინებულ პირობებს. განხორციელებულმა ცვლილებებმა კიდევე ერთხელ ხაზი გაუსვა იმ სამართლებრივ პრომლემატიკას, რაც ფორს-მაჟორის ცნების არარსებობას უკავშირდება კერძო სამართალში.[76]

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისათვის საკმარისი არ არის სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღმოცენებული გარემოების თანხვედრა

---

[75]ჩიტაშვილი ნ., პასუხისმგებლობის განსაზღვრა ფორსმაჟორული დათქმით სახელშეკრულებო თავისუფლებასა და სამართლიანობის ფარგლებში, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2015, გვ. 104

[76] სტატია - დროა, კანონმდებელთან ერთად ვიფიქროთ ფორსმაჟორის კანონში ასახვაზე, იხ. http://barristers.ge/ge/page/news_item/1542

სახელშეკრულებო დათქმით გათვალისწინებულ მოვლენასთან, არამედ აუცილებელია, რომ გამორიცხული იყოს დამაბრკოლებელი გარემოების აღმოცენების წინასწარ გათვალისწინების, მისი თავიდან აცილების ან უარყოფითი შედეგების დაძლევის/შემცირების შესაძლებლობა მხარეთათვის და, ამასთანავე, აუცილებელია მოვლენის არსებობა მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა.[77]

ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან და სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე ფორსმაჟორად დასაკვალიფიცირებლად საჭიროა არსებობდეს რამდნეიმე პირობება კუმულაციურად:

- ✓ განსაკუთრებული მოვლენა, რომელიც წარმოიშობა მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლდა
- ✓ მისი გათვალისწინება მხარეს არ უნდა შეეძლოს
- ✓ შესრულება ვერ უნდა მოხერხდეს

შესაძლებელია დაუძლეველი ძალა გახდეს შესრულების შეუძლებლობის საფუძველი. კერძოდ, როდესაც დაუძლეველი ძალის გამო სახეზეა შესრულების ხანგრძლივი შეუძლებლობა, აღნიშნული წარმოადგენს უკვე არა ვადის გადაცილებას, არამედ შესრულების შეუძლებლობას. [78] აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერიოდს რა იგულისხმება ვადის გადაცილება და რა დროის მანძილზე შესაძლებელია მხარე გათავისუფლებული იყოს თავისი ველდებულებისგან. გამოიყოფა შემთხვევა როდესაც შესრულება ან დრობით ან მუდმივად შეუძლებელია, თუმცაღა ერთი რაც ნათელია ფორსმაჟორად მიჩნევისთვის მისი შესრულება იმ მომენტისათვის უნდა იყოს შეუძლებელი.

---

[77]ჩიტაშვილი ნ., პასუხისმგებლობის განსაზღვრა ფორსმაჟორული დათქმით სახელშეკრულებო თავისუფლებასა და სამართლიანობის ფარგლებში, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2015, გვ. 103

[78] ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, სარჩევი 2011 წ., გვ.12

6.3. პანდემია, როგორც ფორსმაჟორული გარემოება

დილემა იმის თაობაზე COVID-19-ის მიერ გამოწვეული მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს თუ არა ფორსმაჟორულ გარემოებად ჯერ კიდევ არსებობს, ვინაიდან არც სასამართლოს მხრიდან არ დაფიქსირებულა ამისი პრეცედენტი. მართალია მასშტაბური პრობლემაა, თუმცა ყოველი კონკრეტული შემთხვევა ცალკეულად განსახილველია კონკრეტული ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ფორსმაჟორული დათქმით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმებია ვალდებულების შეჩერება და შესრულების ვალდებულების გადავადება ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების ხანგრძლივობით, გამომდინარე იქიდან სახეზე გვაქვს ფორსმაჟორით გამოწვეული შესრულების დროებითი თუ მუდმივი შეუძლებლობა. აღნიშნული დათქმა ხშირად მოიცავს მოლაპარაკების სავალდებულოობის პირობას ფორსმაჟორის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის ან მათი სამართლიანი გადანაწილების უზრუნველსაყოფად. შესრულების გართულების მომწესრიგებელი დათქმით უზრუნველყოფილი შედეგი ხელშეკრულების შეწყვეტასთან შედარებით უფრო მოქნილი მექანიზმია, რამეთუ ხელშეკრულების ადაპტაციით სახელშეკრულებო ხარჯები მხარეებზე სამართლიანად გადანაწილებადია.[79]

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია გამოვყოთ სამი შემთხვევა, როდესაც:

- დროებით შეუძლებელი ხდება ვალდებულების შესრულება და აღნიშნული სიტუაციის აღმოფხვრის შემდგომ კრედიტორს კვალვ აქვს ინტერესი შესრულებისადმი;
- როდესაც კრედიტორს დაეკარგა ინეტერსი შესრულებისადმი;

[79]ჩიტაშვილი ნ., პასუხისმგებლობის განსაზღვრა ფორსმაჟორული დათქმით სახელშეკრულებო თავისუფლებასა და სამართლიანობის ფარგლებში, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2015, გვ. 91-92

- როდესაც დაუძლეველი ძალის გამო რთულდება შესრულება და ჩნდება ვალდებულება ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებისა (Hardship). პანდემიისგან გამოწვეული გაურკვევლობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, სასურველია ინდივიდუალური სახელშეკრულებო დებულებების შესახებ მოლაპარაკება ფორსმაჟორისა და შესრულების გართულების თაობაზე, რათა წინასწარ შეიქმნას სურათი სახელშეკრულებო რისკის სასურველი გადანაწილების შესახებ.[80]

პანდემია ისეთი მოვლენაა, რომელზეც კონტროლი არავის, მით უფრო, ერთ პირს არ ძალუძს და მისი გათვალისწინება ისეთ მომენტში, როდესაც COVID-19-ის პირველი შემთხვევაც კი არ ყოფილა დაფიქსირებული, შეუძლებელია. ამ პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა[81] და შეიზღუდა გარკვეული საქმიანობების განხორციელება.[82] გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა: ა) შეიზღუდა გარკვეულ საქმიანობათა სფერო ბ) ადგილობრივ შეიზღუდა საქმიანობის განხორციელება, ამასთან საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელ იქნა მისი დისტანციურ რეჟიმში შესრულება გ) საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დისტანციურ რეჟიმში მოხდა თანამშრომელთა გარკვეული კატეგორიის, შემცირებული რაოდენობით დასაქმება. ზემოაღნიშნული შემთხვევების ყოველი ცალკეული გამოვლენისთვის პანდემია უცილოდ ფორსმაჟორულ გარემოებად ვერ განიხილება და განურჩევლად ყველა სუბიექტს ვერ მიენიჭება ის უფლებები, რაც მხარეებს ფორსმაჟორულ მდგომარეობაში წარმოეშობათ. როგორიცაა, ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა, ხანდაზმულობის ვადის დენის

[80] Wahnschaffe. C.J., Janssen A., Covid-19 and international sale contracts: unprecedented grounds for exemption or business as usual?, Uniform law Review, Vol.25, Issue 4, 2020, P.495

[81] 2020 წლის 21 მარტის საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი N1, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, 1, საკანონმდებლო მაცნე [18.06.2021]

[82] 2020 წლის 23 მარტის საქართველოს მთავრობის დადგენილება N181, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ, 181, საკანონმდებლო მაცნე [18.06.2021]

შეჩერება და გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობათა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით შეწყვეტა.

როგორც რეალობამ გვაჩვენა შეიზღუდა ცალკეული ობიექტების ფუნქციონირება, ზოგი კი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობდა მუშაობას, ამდენად ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს ამ გარემოებამ გამოიწვია შესრულების შეუძლებლობა თუ შესრულების გართულება. უკანასკნელის შემთხვევაში სასურველია თავდაპირველად მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება, ხოლო თუ შეუძლებელი იქნება ამ მექანიზმის ამოქმედება, მხოლოდ ამის შემდგომ მოხდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმა. ფორსმაჟორად შეფასებისთვის აუცილებელი კომპონენტია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ვალდებულების შეუსრულებლობასთან, რადგან მხოლოდ განუსაზღვრელი ფაქტი პანდემიის სახით ვერ მოგვცემს განსხვავებული შემთხვევებისთვის ფორსმაჟორად ცნობის საფუძველს. მაგალითად, როდესაც აიკრძალა საყოფაცხოვრებო ქიმიითა და ჰიგიენით ვაჭრობა, რომლის სარეალიზაციოდ დაქირავებული ფართი უმოქმეოდ რჩებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დამქირავებელს შეეძლო მიემართა ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნით ქირის ფასთან მიმართებით. თუმცა არის შეთხვევები როდესაც ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა თავიდანვე განწირულია წარუმატებლობისთვის. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც მაგ: მსესხებლისთვის უკვე ცალსახა იყო ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ზომების ხასიათი და თავისთავადი შედეგები. სკ-ის 398-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც გარემოებები შეიცვალა ხელშეკრულების დადების შემდეგ და ისინი მხარის მიერ წინასწარ განუჭვრეტადი იყო.[83] სწორედ ამავე მიდგომას ავითარებს სხვა ქვეყნების გამოცდილებაც. მაგალითად, 2020 წლის იანვრიდან ჩინეთის საერთაშორისო

[83] ქავშბაია ნ., ფულადი ვალდებულებისაგან გათავისუფლება ან ხელშეკრულების მისადაგება პანდემიისას, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2020, გვ. 79

ვაჭრობის განვითარების საბჭოს მიერ გაიცა 5600-ზე მეტი სერთიფიკატი იმ საერთაშორისო ხელშეკრულების შემსრულებელ პირებზე, რომლებმაც ვერ შეძლეს ვალდებულების სათანადოდ განხორციელება COVID-19-ის გამო. ინდოეთში კი ფინანსთა მინისტრმა საჯაროდ გააკეთა განცხადება ეკონომიკურ სექტორში მომარაგების ჯაჭვის მოშლის თაობაზე, რომელიც დაუკავშირა ფორსმაჟორულ მოვლენას. თუმცა ამასთან აღინიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მტკიცებულებაა კონკრეტული მოვლენის დადგომისა, რაც არასაკმარისია იმისთვის, რომ ყველა შემთხვევაში COVID-19 მიჩნეულ მიქნეს ფორსმაჟორულ მოვლენად სხვა მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე.[84]

ყოველი შემთხვევა ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა იქნეს განხილული. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ხელშეკრულების დადების თარიღზე, იმ სეგმენტზე რომელზეც ვრცელდება იგი და ხელშეკრულებაში აღნიშნულ დათქმებზე. ამასთან ერთდ, სასამართლოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების კონკრეტული პირობებით მისადაგების დაკმაყოფილების შესახებ გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც COVID-19-ის გავრცელების გამო შექმნილი ვითარება სოციალური არსებობის შემარყევლად შეფასდება.[85]

[84] Franciosi.L.M, The effects of Covid-19 on international contracts: A comparative overview, Victoria university of Wellington law review, Vol.51 , N3, 2020, P.433-434

[85] იხ. იქვე

თავი VII. სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები და დამკვიდრებული პრაქტიკა ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შესახებ

მართალია, 398-ე მუხლის არცერთ ნაწილში არ არის საუბარი სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე, ამავე მუხლის მესამე ნაწილში არსებული დათქმა კი ხელშეკრულებაზე უარის თქმის მითითებით თითქოსდა უგულვებელყოფს მას, თუმცაღა ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სამართლის ზოგადი წესებიდან გამომდინარე, რომელიც დაზარალებულ მხარეს კანონიერების აღდგენის მიზნით ანიჭებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. სასამართლო ხელმძღვანელობს როგორც სამართლიანობის, ასევე კეთილსინდისიერების პრინციპებით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული მე-8, 361-ე და 325-ე მუხლებით.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მოსამართლის როლია, საზოგადოებას ემსახუროს ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეში, როგორიცაა მართლმსაჯულების აღსრულება კანონის შესაბამისად. მათ საქმისადმი ერთგულებაზეა დამოკიდებული საბოლოოდ საზოგადოების საფუძვლები, რომლებსაც ჩვენ ასე ვაფასებთ – თავისუფლება, მშვიდობა, მართლწესრიგი და სათანადო მმართველობა.[86] სწორედაც რომ ამიტომ მათ კომპეტენციას განეკუთვნება განსაზღვრა ნამდვილად მოხდა თუ არა უფლებების დარღვევა, განჭვრეტა მხარეთა მოთხოვნათა თანაფარდობისა და დისბალანსის აღმოფხვრის უზრუნველყოფა. მართალია, კანონმდებელმა ცალსახად არ გაწერა აღნიშნული პირობა, თუმცაღა სასამართლოს როლი დიდია და იმის თქმაც თამამად შეგვიძლია, რომ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შესაძლებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული მდიდარ

[86] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარი, თბილისი, 2015 წ., გვ. 55

სასამართლო პრაქტიკასთან, რადგან ყოველ ჯერზე მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი გადაწყვიტოს თუ რამდენად იმოქმედა შეცვლილმა გარემოებებმა ხელშეკრულების ობიექტურ მიმდინარეობაზე და დაადგინოს რა შემთხვევაში გვაქვს მისადაგების წინაპირობა და რა შემთხვევაში, - უბრალოდ მხარის მიერ სახელშეკრულებო რისკის გაუთვლელობა.[87]

სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, მხოლოდ მაშინ როდესაც ეს გონივრულია.[88] გონივრულობა კი მრავალი ფაქტორით განისაზღვრება. ამასთან ერთად ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის არსებითობის შეფასებისას აუცილებელია, რომ შეფასდეს შედეგის უსამართლობის ხარისხი. ანუ უნდა გაანალიზდეს, იწვევს თუ არა ხელშეკრულების უპირობო შესრულება ან ხელშეკრულებაში დარჩენა აშკარად უსამართლო, არათანაზომიერ ანდა კაბალურ შედეგს, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან.[89] სასამართლო მოვალეა დაადგინოს არა მხოლოდ ის თუ რამდენად დაირღვა ხელშეკრულება, არამედ ისიც რა დოზით იქნა შესრულებული იგი. ინფორმირებულობა მნიშვნელოვანი კრიტერიუმია პრობლემის გადასაჭრელად, თუმცაღა არის შემთხვევები როდესაც სასმართლო განიცდის მის ნაკლებობას. წარმოდგენილი ინფორმაციის გარდა, ასევე არსებობს ისეთი ცნობები, რაც მხოლოდ მხარისთვისაა ცნობილი - ის რისკები და გათვლები, რაც გახდა ხელშეკრულების დადების საფუძველი

---

[87] გეგენავა ა., ნარდობის ხელშეკრულების მისადაგბა შეცვლილი გარემოებებისადმი , 2015, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, გვ. 23

[88] Посохов С.П.,СуЩественное изменение обстоятельств, Вопросы экономики и права • 2019 • № 5 (131) С.22

[89] ავტორთა კოლექტივი., ვაშაკიძე გ., გელაშვილი ი., ბაღიშვილი ე., რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა., მესხიშვილი ქ., მოწონელიძე ნ., ბათლიძე გ., ჯორბენაძე ს., გაწერელია ა., სვანაძე გ., რობაქიძე ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წ., გვ. 620

შეთანხმებული პირობებით. თუ მხარემ ხელშეკრულებით იტვირთა რისკი შეცვლილ გარემოებებთან მიმართებით, მაშინ იგი ვეღარ დაეყრდნობა უფლებრივ დაცვას, რაც ასეთი შემთხვევებისთვისაა გათვალისწინებული.[90] არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლო ერევა მხარეთა კომპეტენციაში, თუმცაღა ვფიქრობ, რომ სასამართლო კი არ უზღუდავს მხარეს თავის პრეროგატივას ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში, არამედ ერთგვარ მედიატორის ფუნქციას ითავსებს და განსაზღვრავს მათი უფლებები დარღვევის ხარისხს. მაგალითად, პოლონეთის ვალდებულებითი სამართლის კოდექსის 269-ე მუხლითაა განმარტებული სასამართლოს უფლებამოსილება ისეთი განსაკუთრებული მოვლენის დროს, როგორიცაა ომი, ეპიდემია, სრული მოუსავლიანობა ან სტიქიური უბედურება, როდესაც ვალდებულების შესრულება დაკავშირებულია განსაკუთრებულ სიძნელეებთან ან ერთ-ერთ მხარეს ემუქრება მნიშვნელოვანი ზიანი, რაც მხარეებს არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ ხელშეკრულების დადებისას. ასეთ დროს სასამართლოს შეუძლია, თუ ამას კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე საჭიროდ მიიჩნევს, ორივე მხარის ინტერესების შეპირისპირების შემდეგ დაადგინოს შესრულების სახე და მოცულობა ან გააუქმოს ხელშეკრულება.[91]

მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინ ამტკიცებს და არა მას, ვინ უარყოფს.[92] როგორც მოცემული მსჯელობდან ირკვევა მისადაგების მოთხოვნა უნდა დააყენოს უფლებამოსილმა მხარემ და სწორედ მას, დაინტერესებულ მხარეს აწევს მტკიცების ტვირთი იმის თაობაზე ნამდვილად

[90] The effect of a change of circumstances of the binding force of contracts, Comparative perspectives, R.A. Momberg Uribe, 2011, P.207

[91] მანკოვსკი პ., ვუდარსკი ა., სირდაძე ლ., გარიგების სუბიექტური საფუძვლის არარსებობა გერმანულ, პოლონურ, ქართულ და ევროპულ კერძო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2020, გვ.9

[92] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, მტკიცების ტვირთი, თბილისი, 2018წ., გვ12

შეიცვალა თუ არა გარემოება. ესსპ-ის 6.111 III (ბ) მუხლი ერთ-ერთი მხარის მიერ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპთა საწინააღმდეგოდ სახელშეკრულებო მოლაპარაკების შეწყვეტით ან მასზე უარის თქმით წარმოშობილი ზიანს ან ზიანისთვის პასუხისმგებელ მხარეს აკისრებს.[93] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც როდესაც ხელშეკრულების მისადაგება შეუძლებელია ან ერთ-ერთი მხარე დაუსაბუთებელ უარს აცხადებს მისადაგებაზე, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან. რამდენადაც მაღალი არ უნდა იყოს სასამართლოს როლი ხელშეკრულების ადაპტაციის პროცესში, მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის ფუნქციის მინიჭება საკამათოა.[94]

ვალდებულების შესრულებისას ქართული სამოქალაქო კოდექსი იძლევა ინტერესთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას. პატივსადები ინტერესი ხდება ვალდებულებითი ურთიერთობის როგორც ტრანსფორმაციის, ისე მისი შეწყვეტის საფუძველი. თავად ინტერესის მდგომარეობას განსაზღვრავს როგორც შესრულების პროცესი, ისე მის გარეთ არსებული გარემოებანი. ხელშეკრულების შეწყვეტა, შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ხელშეკრულების ადაპტაციასთან შედარებით უკეთესად უზრუნველყოფს მხარეთა ორმხრივ ინტერესებს და ამასთან, შეწყვეტით ზიანი არ ადგება საჯარო ან მესამე პირების ინტერესებს. უმთავრესია, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, ისევე როგორც ვალდებულების შესრულების გართულების ან შეუძლებლობის საფუძვლით სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება, არ იწვევს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის

---

[93] ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, #2, 2011 წელი, გვ. 162

[94] ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი „სამართლის ჟურნალი“, №1, 2014, გვ. 238

ხელყოფას. შესრულების დამაბრკოლებელი გარემოების მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ვალდებულების გარკვეულ ნაწილზე გავრცელდეს და მხარემ მხოლოდ ნაწილობრივი შესრულება უზრუნველყოს, ან მის მიერ განხორციელებული შესრულება არ აღმოჩნდეს შეთანხმებული ხარისხის. ასეთ შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია წარადგინოს ფასის შემცირების, შესაძლებლობა. აღნიშნული მეორადი მოთხოვნის უფლება რომაული სამართლის ინსტიტუტიდან _ actio quanti minoris _ იღებს სათავეს, რომელიც მყიდველს ხელშეკრულების შენარჩუნების მიზნით სარჩელის წარდგენისა და სახელშეკრულებო ფასის მოდიფიცირების მოთხოვნის უფლებას ანიჭებდა.[95]

არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების გართულების კლასიკურ შემთხვევებად აღიარებულია: ფასების ათმაგი ზრდა ხელშეკრულების დადების შემდგომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დამატებითი დანადგარებით ქარხნების აღჭურვის ვალდებულების დაწესება, ეროვნული ვალუტის გაუფასურება 80%-ით, შესყიდული საქონლის რეალიზაციის ბაზრის გაუქმება სახელმწიფოში. ვალუტის გაუფასურება სახელშეკრულებო გარემოებათა წინასწარ გაუთვალისწინებელ და ფუნდამენტურ ცვლილებად განისაზღვრება იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო ფასი და შესრულებათა ექვივალენტობა არსებით პირობად არის ნავარაუდები ან შეთანხმებული მხარეთა მიერ. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მოითხოვს სახელშეკრულებო ფასის არსებით და არა ჩვეულებრივ ცვლილებას, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის თანმდევი მოვლენაა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოვალეს ეკისრება ინფლაციის რისკი. ამრიგად, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მხოლოდ ისეთი

[95] უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1376-2020

შემთხვევებისთვისაა განსაზღვრული, როდესაც არაგონივრული და გაუმართლებელია მხარეთაგან ხელშეკრულების შენარჩუნების მოთხოვნა.[96]

მესაკუთრესა და ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდს“ (შემდეგში - ფონდი, მოპასუხე) შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ აიღო ვალდებულება უზრუნველყო მოსარჩელის კუთვნილი სახლის დემონტაჟი ახალი საცხოვრებელი სახლის აშენების შემდეგ და ამავე მისამართზე შესაბამისი ფართის შენობა გადაეცა. მშენებლობის პროცესში ფონდმა დაადგინა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 59 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მშენებლობა შეუძლებელი იყო, ვინაიდან, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მოსარჩელის საკუთრებაში იყო არა შეთანხმებული 59კვ.მ. არამედ 56კვ.მ. მიწის ნაკვეთი. განსახილველ შემთხვევაში არ გამოიკვეთა მესაკუთრის პატივსადები მიზეზი იმისა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესაბამისი კორექტირების შეტანაზე უარი ეთქვა, ან არ დათანხმებოდა ხელშეკრულების ნაწილობრივ ცვლილებას ასაშენებელი ფართის მოცულობის ნაწილში, თუმცაღა ამ შემთხვევში მოსარჩელედ წოდებული უარზე იდგა. ამ ქმედებით იგი ხელს უწყობს ისეთი ვითარების ხელოვნურად შექმნას, რაც მოპასუხეს ხელშეკრულებში არსებული დათქმიდან გამომდინარე ავალდებულებდა განუსაზღრელი ვადით გადაეხადა ყოველთვიური ქირის საფასური მაშინ, როდესაც მოპასუხე მზად იყო შემხვედრი ვალდებულების შესასრულებლად. მაშასადამე, უდავოა, რომ მესაკუთრის უმოქმედობით ზიანი ადგება ფონდს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლა სამართლებრივად შეუძლებელი იყო, თუმცა შექმნილ ვითარებაში, მოპასუხემ, რომელიც სსკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სამართლებრივად იბოჭება, მესაკუთრეს (კრედიტორს) დაუპირისპირა ის შესაგებელი, რისი უფლებაც მას სსკ-ის 398-ე მუხლიდან

[96] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/15594-18

გამომდინარე გააჩნია და ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებასაც ანიჭებს (იხ. სუსგ #ას-758-709-2017, 21.09.2017წ.), ამასთან, კრედიტორს აღარ აქვს უფლება, ხელშეკრულებით ნაკისრი უწინდელი პირობებით მოითხოვოს მოვალისაგან (მოპასუხისაგან) ვალდებულების შესრულება - ქირის გადახდა, რადგან ხელშეკრულების დადების დროს თავად კრედიტორმა მცდარი ინფორმაცია მიაწოდა საკუთრების უფლების შესახებ მოპასუხეს, ხოლო შემდეგ არ დაეთანხმა ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი, რაც პრაქტიკულად ხელშეკრულების დადების შემდეგ გახდა ცნობილი ფონდისათვის. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხეს აღარ აქვს ვალდებულება, ქირა გადაუხადოს მოსარჩელეს, რაც ამ უკანასკნელის მიერ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაზე უარის თქმის პირობებში, მოპასუხის მართლზომიერ ქმედებად განიხილება, თუმცა, ფონდი კვლავ რჩება სახელშეკრულებო ურთიერთობაში მოსარჩელესთან. [97] ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სასამართლო მხარეთა ნაცვლად ვერ ჩამოაყალიბებს სახელშეკრულებო პირობებს, თუმცა სასამართლოს შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს სხვადასხვა გამოსავალი. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში ჩარევა შეცვლილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში პირდაპირი სახით არ ხდება. შეცვლილი გარემოებების არსი უშუალოდ ხელშეკრულების შესრულებისკენაა მიმართული, რომელიც სსკ-ის 398-ე მუხლით არის მოწესრიგებული და რომლის მიზანსაც სახელშეკრულებო სამართლიანობის ფარგლებში მხარეთა უფლება-მოვალეობების სამართლიანი გადანაწილება წარმოადგენს.[98]

---

[97] უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17იანვარი განჩინება საქმეზე №ას-793-742-2017

[98] ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017 წ., გვ 279-280

თავი VIII. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება გერმანულ სამართალში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

გერმანიის სამოქალაქო სჯულდებამ 313-ე პარაგრაფის განმტკიცებით აღიარა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პრიმატი მის შეწყვეტასთან შედარებით. გერმანული სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ სასამართლოების შეცვლილი გარემოებების დროს ხელშეკრულების შეწყვეტის ნაცვლად უმთავრესად მის მისადაგებას მიმართავდნენ.[99]

შესრულების გართულების სამართლებრივ შედეგებს უპირველესად გსკ-ის 313-ე I და III პარაგრაფები განსაზღვრავს, სადაც ნათქვამია, რომ (1) შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შესაძლებლია მოთხოვნილ იქნეს თუ კონკრეტული შემთხვევის, რისკის სახელშეკრულებო და კანონისმიერი გადანაწილების გათვალისწინებით, არაგონივრულია, მოვალეს მოეთხოვოს ხელშეკრულების თავდაპირველი, შეუცვლელი პირობების შესრულება. (3) თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან სირთულეს უავშირდება ერთ-ერთი კონტრაჰენტისათვის, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გრძელვადიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულებაზე უარის ნაცვლად გამოიყენება ხელშეკრულების შეწყვეტა.[100] გარდა სამართლებრივი შედეგების მხრივ არსებული ძირითადი განსხვავებისა, გერმანული და ქართული მოწესრიგება იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ მცირედი აცდენაა სკ-ის 398 I მუხლსა და გსკ-ის 313 I პარაგრაფს შორის, რომლებიც

[99] ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუსძლებლობა, სამართლის ჟურნალი N2, 2011წ., გვ.

[100] ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუსძლებლობა, სამართლის ჟურნალი N2, 2011წ., გვ.147-148

პრინციპულად ერთსა და იმავეს - გარიგების ობიექტური საფუძვლის მოშლას აწესრიგებენ. საქმე ეხება სსკ-ის 398 მუხლის I ნაწილის კონკრეტულ ფრაზას - „წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და რაიმე მცდელობა, რომ აქედან გამოყვანილ იქნეს მისადაგების გარკვეული შედეგი, თავიდანვე წარუმატებლობისთვისაა განწირული. „არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა“ იმდენად განუსაზღვრელია, რომ არც ღირს მასში რაიმე სამართლებრივად რელევანტური აზრის ძიება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისადაგების შედეგებს ამომწურავად აწესრიგებს სკ-ის 398 III მუხლი. ამის საპირისპიროდ, გკს-ის 313 I პარაგრაფი მიუთითებს არა მისადაგების შედეგებზე, არამედ მის ფარგლებზე, რომ ეს შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმდენად, „რამდენადაც - ცალკეული შემთხვევის გარემოებათა, კერძოდ კი, სახელშეკრულებო ან კანონისმიერი რისკის განაწილების, გათვალისწინებით - ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების დაცვა“. ქართული და გერმანული მოწესრიგების აცდენა, ერთი შეხედვით, შეიძლება არასწორ თარგმანს უკავშირდებოდეს. კომისიის მიერ წარდგენილ ინიციირებულ ვერსიაში, მითითებული იყო, რომ პირს მისადაგების უფლება გააჩნდა, „რამდენადაც ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, კერძოდ, ნორმების სახიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა“. მუხლის ფორმულირების ეს ვარიანტი უფრო მეტად ჰგავს გერმანულ წინაპარს და არსებული სხვაობა თარგმნისას დაშვებულ ტექნიკურ შეცდომას ან გერმანული დანაწესის ბოლომდე სრულყოფილად ვერგაგებას უფრო უნდა

მიეწეროს, ვიდრე კომისიის მხრიდან მიზანმიმართული იმპროვიზაციის წარუმატებელ მცდელობას.[101]

ქართულ სამართალში გარიგების სუბიექტური საფუძვლის არარსებობა მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 II მუხლში. აღნიშნული ნორმა, მსგავსად მთლიანი სამოქალაქო კოდექსისა, გერმანული კანონმდებლობის რეცეფციის შედეგს წარმოადგენს და პირდაპირ იმეორებს გსკ-ის 313 II პარაგრაფის ტექსტს. მისი გერმანული ანალოგის პარალელურად, სკ-ის 398 II მუხლი უთითებს მუხლის პირველ ნაწილზე და გარიგების სუბიექტური საფუძვლის არარსებობას უთანაბრებს ობიექტურის დარღვევას. ამით შემთხვევა, როდესაც გარემოებები ხელშეკრულების დადებამდე უკვე შეცვლილია და მხარეებს ამის შესახებ არასწორი ან არასრული წარმოდგენები აქვთ, ქართულ სამართალშიც გათანაბრებულია ისეთ შემთხვევასთან, როდესაც გარემოებები ხელშეკრულების დადების შემდეგ იცვლება.[102]

რაც შეეხება გსკ-ს 313 III პარაგრაფს ის ფაქტობრივად იდენტურია სსკ-ს 398 მუხლს, თუმცაღა გსკ აკონკრეტებს გრძელვადიანი ვალდებულებითი-სამართლებრივი ურთიერთობის განსხვავებას, სადაც ხელშეკრულების გასვლის ნაცვალდ გამოიყენება ხელშეკრულების შეწყვეტა.[103]

---

[101] მანკოვსკი პ., ვუდარსკი ა., სირდაძე ლ., გარიგების სუბიექტური საფუძვლის არარსებობა გერმანულ, პოლონურ, ქართულ და ევროპულ კერძო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2020, გვ.22

[102] იხ.იქვე

[103] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, თბილისი, 2019წ.

თავი IX. შედეგების განსჯა უნიფიცირებულ პრინციპებთან შედარების საფუძველზე

ვენის კონვენციის მიღების შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. მასშტაბური ცვლილებების ფონზე შეიცვალა მიდგომებიც ამა თუ იმ სფეროში. ინტერნეტის და ტექნიკური სიახლეების ფონზე მოწესრიგების სფეროს დაექვემდებარა ისეთი საკითხებიც, რომლებიც მანამდე არ იყო დარეგულირებული. არაერთი ავტორის მოსაზრებით, რომლებიც გამოდიოდნენ ახალი კონვენციის შექმნის იდეით, აღნიშნავდნენ, რომ სწორედ უნიდრუას პრინციპები დაექვემდებარებოდა ფართო გამოყენებას.[104] რიგი ეროვნული სამართლის სისტემების მიერ აღიქმებოდა, როგორც რეფორმატორი სახელშეკრულებო სამართლისა იმ მოქნილი მექანიზმის გათვალისწინებით, რომლებიც ტექნოლოგიური თუ ეკონომიკური მიღწევებითაა გამოწვეული.[105]

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინცპები, ევროპული პრინციპები და DCFR, ვენის კონვენციისგან განსხვავებით, ითვალისწინებენ შესრულების გართულების დამოუკიდებელი მუხლებით რეგულირებას. თუ ვენის კონვენციაში არ არის განმტკიცებული ცალკეული ნორმა, რომელიც დაარეგულირებდა შესრულების გართულებას, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ ტერმინით „დაბრკოლება“, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები შეცვლილი გარემოებებით გამოწვეულ ვალდებულებების შესრულების უკიდურეს დაბრკოლებას შესრულების გართულების ტერმინით

---

[104] Алимова Я.О., Принцпы унидруа – как источник будущей новой конвенции в сфере договорного права. Миф или реальность?, Проблемы экономики и юридичкской практики, 2014, С.17

[105] Мещанова М.В., Глобализация мировой торговли через призму ринципов международных коммерческих договоров унидруа, Журнал зарубежного законодательства и сравнительного правоведения № 4, 2016, С.102

განამტკიცებს 6.2.1-ე - 6.2.3-ე მუხლებში და დეტალურად აწესრიგებს მის ცნებასა და სამართლებრივ შედეგებს.[106]

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.1 მუხლის ოფიციალური კომენტარის მიხედვით აღიარებულია ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი. ამ მუხლის მიზანია დააზუსტოს, რომ ხელშეკრულების სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე შესრულება უნდა განხორციელდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მაშინაც კი, თუ მხარე მოსალოდნელი მოგების ნაცვლად განიცდის დიდ ზარალს ან შესრულება უინტერესო გახდა მხარისთვის. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველად მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების აღმოცენება უნდა იქნეს მიჩნეული.[107]

6.2.2. მუხლის თანახმად ვალდებულების შესრულების გართულებას წარმოშობს ხელშეკრულების წონასწორობის ფუნდამენტური ცვლილება, რაც პრაქტიკაში ორი განსხვავებული ფორმით გამოიხატება. პირველი ხასიათდება მხარის მიერ საკუთარი ვალდებულების შესრულების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდით. მაგალითად, ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა შეიძლება განპირობებული იყოს ნედლეულის ფასის მკვეთრი ზრდით, რაც აუცილებელია საქონლის წარმოებისთვის ან მომსახურების გაწევისთვის, ან უსაფრთხოების ახალი რეგულაციების შემოღებით, ხოლო მეორე - ერთი მხარის მიერ მიღებული შესრულების ღირებულების შემცირებით. შესრულება შეიძლება ეხებოდეს როგორც ფულად ასევე არაფულად ვალებულებებს. მიმღები მხარის პირად დამოკიდებულებას შესრულების ღირებულებასთან დაკავშირებით

[106] ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი), გვ.69

[107] იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარი, მუხლი 6.2.1; ხელმისაწვდომია: https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1059-article-6-2-1-contract-to-be-observed [16.06.2021].

მნიშვნელოვან ფაქტორად არ განიხილება. რაც შეეხება ინტერესის დაკარგვას - ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას გათვალისწინებული, როდესაც მოცემული მიზანი იყო ცნობილი ან სულაც უნდა ყოფილიყო ცნობილი ორივე მხარისთვის.[108] ამასთან, სახეზე უნდა იყოს შემდეგი სამართლებრივი წინაპირობები: (ა) შეცვლილი გარემოებები უნდა აღმოცენდეს ან მხარისათვის გახდეს ცნობილი ხელშეკრულების დადების შემდეგ; (ბ) გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულების დადების ეტაპზე გათვალისწინება; (გ) გარემოებები უნდა არსებობდეს მხარის კონტროლის სფეროს მიღმა; (დ) მხარეს არ უნდა ჰქონდეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი.[109] 6.2.3 მუხლში მოცემულია მოლაპარაკების სავალდებულოობის შესახებ დათქმა. მოლაპარაკების წარმართვა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ დამაბრკოლებელი გარემოებების წარმოშობისთანავე. მოლაპარაკებების წარმართვის დრო დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე. ამასთან, მხარე ვალდებულია მიუთითოს მოლაპარაკებების მოთხოვნის საფუძველი, რის შედეგადაც მეორე მხარე უკეთესად შეაფასებს მის აუცილებლობას. როგორც მოლაპარაკებების მოთხოვნა და მხარეთა ქცევა მოლაპარაკებების პროცესში ექვემდებარება კეთილსინდისიერების ზოგად პრინციპს და სამართლიანი გარიგების მოთხოვნებს.[110] ამ პრინციპებთან ერთად განხილულ უნდა იქნას ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებიც. 6:111 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით წარმოჩენილია სასამართლოს უფლებამოსილება და მისი როლი - შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ

---

[108] იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარი, მუხლი 6.2.2; ხელმისაწვდომია: https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1058-article-6-2-2-definition-of-hardship [16.06.2021].

[109] ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი), გვ.70

[110] იხ., უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარი, მუხლი 6.2.3; ხელმისაწვდომია: https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1057-article-6-2-3-effects-of-hardship [16.06.2021].

მომენტიდან და იმ პირობებით, რომლებსაც ის თვითონ მიიჩნევს მიზანშეწონილად ამასთან სასამართლო უფლებამოსილია ზიანის ანაზღაურება დააკისროს იმ მხარეს, რომელიც უარს განაცხადებს მოლაპარაკებაზე. მნიშვნელვანია იმის ხაზგასმა, რომ მოლაპარაკება ერთ-ერთი სავალდებულო პირობაა. ამასთან ამის ამოქმედებისათვის უნდა შესრულდეს სამი წინაპირობა ა) გარემოებათა ცვლილება მოხდა ხელშეკრულების დადების შემდგომ ბ) გარემოებათა ცვლილების შესაძლებლობის დადგენა შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადების დროს გ) გარემოებათა შეცვლის რისკი დაზარალებულ მხარეს არ აკისრია.[111] ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 6.111 მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად სასამართლო შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში თანაბრად ანაწილებს მხარეებზე შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილ ზიანსა და სარგებელს. ასევე ერთ-ერთი მხარის მიერ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპთა საწინააღმდეგოდ სახელშეკრულებო მოლაპარაკების შეწყვეტით ან მასზე უარის თქმით წარმოშობილი ზიანს ან ზიანისთვის პასუხისმგებელ მხარეს აკისრებს. ზემოაღნიშნული მთლიანად ადასტურებს, რომ მხარე ვალდებულია, ხელი შეუწყოს ხელშეკრულების გადარჩენისკენ მიმართულ ღონისძიებას და 398-ე III მუხლის განხილული წინადადების ძალით არ შეიძლება მას ენიჭებოდეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უარყოფის უფლება.[112]

მოცემულ ნაშომში სსკ-ს 398-ე მუხლის დეტალური განხილვისა და PECL, UPICC პრინციპების შინაარსობრივი ცნობების შემდეგ კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ქართული კანონმდებლობის ხარვეზები შემდეგი სახით:

---

[111] ევრპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (თარგმანი), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2014წ, გვ 48-49

[112] ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, #2, 2011 წელი, გვ. 162

- **პასუხისმგებლბისაგან გათავისუფლების საფუძველი**

398-ე მუხლი	PECL, UPICC
გაურკვეველი ჩანაწერი - ხელშეკრულების მკაცრად არ დაცვის შესახებ, რაც ანიჭებს მხარეს მისადაგების უარყოფის უფლებას.	განიხილავს განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას.

- **გარემოთა ცვლილება ხელშეკრულების დადების შემდგომ**

სსკ-ს 398-ე მუხლი	PECL, UPICC
დამატებით განსაზღვრავს „არასწორი წარმოდგენების“ ცნებას, რაც ეჭვს ბადებს გარიგების დადებამდე შეცდომის არსებობას.	მკაცრად მოთხოვნილია აღნიშნული პირობის დაცვა.

- **მხარის ბრალეულობის გამომრიცხავი გარემოებები**

სსკ-ს 398-ე მუხლი	PECL, UPICC
სასამართლოს მიერ განხილვის საგნად რჩება.	ნორმაშია განმტკიცებული.

- **დავის განმხილველი ორგანოს როლი**

სსკ-ს 398-ე მუხლი	PECL, UPICC
არ არის საუბარი სასამართლოს როლზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.	ვრცლად განსაზღვრავს სასამართლოს უფლებამოსილებას და მოქმედების ფარგლებს.

- **შეტყობინების ვალდებულება და მოლაპარაკების სავალდებულოობა**

სსკ-ს 398-ე მუხლი	PECL, UPICC
დაკავშირებულია კეთილსინდისიერებისა და სამართლის ზოგად პრინციპებთან.	თავად ნორმებშია გაწერილი აღნიშნული დათქმების სავალდებულოობა.

- **კეთილსინდისიერების პრინციპი**

სსკ-ს 398-ე მუხლი	PECL, UPICC
სასამართლო	ნორმა მოიცავს აღნიშნულ

გადაწყვეტილებებშია მითითებული აღნიშნული პრინციპის თაობაზე.	დათქმას.

დასკვნა

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სახელშეკრულებო წონასწორობის დაცვას სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის გათვალისიწინებით, თუმცა ნორმა იმდენად ორაზროვნადაა გაწერილი, რომ საჭიროა მისი შევსება და სწორად განმარტება კოდექსის სპეციალური ნორმების დახმარებით, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის გაზიარებითა და საყოველთაოდ აღიარებული სამართლის მარეგულირებელი პრინციპების გატარებით.

ვინაიდან, სახელშეკრულებო ურთიერთობის სტაბილურობის გარანტად მიჩნეულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მხარეთა ინტერესების დამცავ მექანიზმად თავად ხელშეკრულებაში გაწერილი მისადაგების პირობები შეიძლება განვიხილოთ, თუმცაღა სასურველია უპირველეს ყოვლისა, თავად ნორმა დაიხვეწოს იმგვარად, რომ კითხვის ნიშნებს აღარ ბადებდეს. ამიტომაც არათუ სასურველი, არამედ აუცილებელია სსკ-ს 398-ე მუხლის 1-ელ ნაწილში არსებული წინადადება - ხელშეკრულების მკაცრად არ დაცვის შესახებ საერთოდ ამოღებულ იქნეს ან მოგვევლინოს განსხვავებული ინტერპრეტაციით. ამასთან, მიზანშეწონილია გაიწეროს შეტყობინების მავალდებულებელი დათქმა კონკრეტული პერიოდის მითითებით და ხაზი გაესვას სასამართლოსადმი მიმართვის სავალდებულოობას, მანამ სანამ ერთ-ერთი მხარე მიიღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულებას გასვლასთან დაკავშირებით. სასურველია განიმარტოს „არასწორი წარმოდგენების“ არსი და დაკონკრეტდეს რა შემთხვევაში წარმოშობს იგი ხელშეკრულების მოდიფიკაციის უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ზღვარი ამ მუხლით მოსაწესრიგებელ ურთიერთობებსა და შეცდომით დადებულ გარიგებებს შორის. მიუხედავად ზემოაღნიშნული ხარვზებისა,

ხელშეკრულების მისადაგების კონცეფცია თავისი არსით ვალდებულების დაცვის სამართლებირვი მექანიზმად დარჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

სახელმძღვანელოები და სტატიები

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006წ., გვ. 14

2. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ., გვ.50-51

3. ვაშაკიძე გ., გელაშვილი ი., ბაღიშვილი ე., რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა., მესხიშვილი ქ., მოწონელიძე ნ., ბათლიძე გ., ჯორბენაძე ს., გაწერელია ა., სვანაძე გ., რობაქიძე ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წ., გვ. 358

4.ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, II გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, 1999წ., გვ. 6

5.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, III წიგნი, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ., გვ. 399

6. ჯუღელი თ., არასახელშეკრულებო ვალდებულებები, სამართალი და მსოფლიო, №6, 2017წ., გვ.177

7. ჯაშიაშვილი ნ., ნომინალიზმის პრინციპი და სახელშეკრულებო სამართლიანობა, კერძო სამართლის მიმოხილვა №2, 2019 წ, გვ.256-257

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, მტკიცების ტვირთი, თბილისი, 2018წ., გვ12

9. ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი „სამართლის ჟურნალი“, №1, 2014, გვ. 205-206

10. ტაბატაძე დ., ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“ II გამოცემა, 2013, გვ. 32

11. გეგენავა ა., ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2015წ. გვ. 33

12. ლეგაშვილი დ., შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, ”სამართლის ჟურნალი“, №2, 2013წ., გვ. 80

13. ხუციშვილი ო., სისვაძე მ., ტოხოსაშვილი მ., ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი, 2017წ., №1-2, გვ.25

14. ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, სარჩევი 2011 წ., გვ.13
15. იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2007წ., გვ.12
16. ხვედელიძე მ., კერვალიშვილი ნ., ნომინალიზმის პრინციპი და ფულადი ერთეულის კურსის ცვლილებების რისკის სახელშეკრულებო რეგულირება, მართმსაჯულება და კანონი N4 (68) გვ.90
17. აბესაძე დ., შეცვლილი გარემოებები და მათი ზეგავლენა სამშენებლო ხელშეკრულებათა შინაარსზე, თეოდორე ნინიძე 65, საიუბილეო კრებული, 2016წ., გვ.163
18. ჯორბენაძე ს., 1+8+1=10 - ანუ თავისუფლების ფარგლები წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში, სერგო ჯორბენაძე 90, საიუბილეო გამოცემა, 2019წ., გვ.25
19. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილ გარემოებათა პირობებში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლებისა და თანმდევი სამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი N2, 2014 წ., გვ.161
20. ზოიძე თ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის მიმოხილვა N2, 2019წ., გვ. 146
21. მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, მართმსაჯულება და კანონი N2 (37), გვ.58
22. ჩიტაშვილი ნ., პასუხისმგებლობის განსაზღვრა ფორსმაჟორული დათქმით სახელშეკრულებო თავისუფლებისა და სამართლიანობის ფარგლებში, სამართლის ჟურნალი N1, 2015წ., გვ.90
23. ქავშბაია ნ., ფულადი ვალდებულებისაგან გათავისუფლება ან ხელშეკრულების მისადაგება პანდემიისას, შედარებითი სამართლის
26. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017წ., გვ 279-280
27. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი N2, 2011წ., გვ.147-148
28. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, თბილისი, 2019წ.
29. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი), თბილისი 2015წ., გვ.69
30. ევრპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (თარგმანი), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2014წ, გვ 48-49

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Посохов С.П.,Существенное изменение обстоятельств, Вопросы экономики и права, 2019, № 5 (131) С.22
2. Карапетов А.Г., Договорное право (Общая часть), М-Логос 2020, С.1248
3. Суханов Е.А., Принцип добросовестности. Система и бессистемность, Вестник гражданского права № 1, Том 19, 2019, С.40
4. Дождов Д.В., Изменение и расторжение договора вследствие существенного изменения обстоятельств: Европейская правовая традиция и современные тенденции, Института государства и права РАН. 2018, Том 13, № 2, С. 151
5. Пьянкова А. Ф, Обеспечение баланса интересов в гражданско-правовых договорах, Монография, Пермь 2014, С.14
6. Алимова Я.О., Принцпы унидруа – как источник будущей новой конвенции в сфере договорного права. Миф или реальность?, Проблемы экономики и юридичкской практики, 2014, С.17
7. Мещанова М.В., Глобализация мировой торговли через призму ринципов международных коммерческих договоров унидруа, Журнал зарубежного законодательства и сравнительного правоведения № 4, 2016, С.102
8. Donald J. Smythe, Bounded Rationality, The Doctrine of Impracticability, And The Governance of Relational Contracts, Southern California Interdisciplinary Law Journal, 2004, P.230
9. The effect of a change of circumstances of the binding force of contracts, Comparative perspectives, R.A. Momberg Uribe, 2011, P.207
10. Momberg, R.A, Change of Circumstances in International Instruments of Contract Law. The Approach of the CISG, PICC, PECL and DCFR, Vindobona Journal of international commercial law and arbitration, 15(2), 2011, P.251
11. Franciosi.L.M, The effects of Covid-19 on international contracts: A comparative overview, Victoria university of Wellington law review, Vol.51 , N3, 2020, P.433-434
12. Wahnschaffe. C.J., Janssen A., Covid-19 and international sale contracts: unprecedented grounds for exemption or business as usual?, Uniform law Review, Vol.25, Issue 4, 2020, P.495

საკანონმდებლო აქტები

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილება ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ

3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ
4. 2020 წლის 21 მარტის საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი N1 საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ
5. 2020 წლის 23 მარტის საქართველოს მთავრობის დადგენილება N181 საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ

<u>სასამართლოს გადაწყვეტილებები</u>

1. უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1376-2020
2. უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1376-2020
3.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/15594-18
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2 /16450-18
5. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე №2ბ/4495-19
6. 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე ას2/15594-18
7. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის განჩინება საქმე №ას-220-209-2017
8. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17იანვარი განჩინება საქმეზე №ას-793-742-2017
9. უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1096-1053-2016
10. უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე № ას-15-15-2016
11. სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე ას №2ბ/7137-14
12. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1144-1090-2014
13. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1338-1376-2014

14. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1338-1376-2014
15. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-888-834-2012
16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2867-13
17. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-7-6-2010
18. უზენაესი სასამართლო 2009 წლის 23 ივლისის განჩინება, საქმე ას №ას-30-367-09

<u>ინტერნეტ წყაროები</u>

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარი, მუხლი 6.2.1; ხელმისაწვდომია: https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1059-article-6-2-1-contract-to-be-observed [16.06.2021]

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარი, მუხლი 6.2.2; ხელმისაწვდომია: https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1058-article-6-2-2-definition-of-hardship [16.06.2021]

უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების ოფიციალური კომენტარი, მუხლი 6.2.3; ხელმისაწვდომია: https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/403-chapter-6-performance-section-2-hardship/1057-article-6-2-3-effects-of-hardship [16.06.2021]

საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, №2/1/536, 4 თებერვალი, 2014წ., იხ. https://jelec.iliauni.edu.ge/thanazomierebis-printsipi-2/

რისკების მართვა და სადაზღვევო ბიზნესი, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები იხ. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/tavi18.pdf

სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში: როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი,https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/saxelmcipo_shesqidvebi_2013-2014_clebshi.pdf

გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე, სსკ-ს მუხლი 72, იხ. http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/11/Artikel-72.pdf

შესავალი ვალდებულებით სამართალში, იხ. http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/10/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98.pdf